

„ქართული კონსტიტუციის მართვის წესა-კითხის გამ. საზოგადო უბის“ გამოცემა.

კონსტიტუციის განვითარების

მემკვიდრეობის სამსახურის

ნ. ურანიელას მიერ

ტფილისი

სტატა ეკ. გესტია.



აქტითებულის მოსის წერა-ფონი. კა. საქოუდეთების კიბრიშა.

კიბრიში ბაზი ესტელი

მეოდე საქართველოსი

34834

6. ურბნიშვილის მიერ

ტელიფონი
სტამბა ეკ. მესხისა.



Дозв. цензурою. Тифлисъ, 10 Апреля 1889 г.

გიორგი ბრძყინვალე

მეფე საქართველოსი

I

მოკლე დრომ განველო თამარ მეფის სიკვდილს შემდეგ და საქართველოსაც თავზედ საშინელი უბედურება დაატყდა. მკითხველი თითონაც მიხვდება, რომ ჩვენ ვამბობთ მონგოლების, ანუ როგორც მატიანე უწიდებს, თათრების¹⁾ შემოსევაზედ. ეს საზარელი ამბავი მოხდა ლაშა გიორგის დროს, თუმცა-კი ჯერ ბეჭი-

¹⁾ ... „ესენი ენთა მათთა უწიდენ თავთა მანლულ, ხოლო ქართველნი თათრად“... ქ.-ც.-ბა, პირ. ნაწ., გვ. 344. მონგოლები სხვადა-სხვა თემისანი იყვნენ და ერთს თემს ე ა ნ-დ უ თ ი ეწიდებოდა.

თაღ გამორკვეული არაა, სახელდობრ
რომელ წელს²⁾). ბევრ გვარი ცვლი-
ლება მოჰყვა თან მონგოლების შე-
მოსევასა და ბატონობას, ლრმა კვა-
ლი გაავლი ამ ამბავმა ჩვენს ისტო-
რიულს ცხოვრებას . მემატიანესაც
თითქო გულმა უგრძნო, რაც მოე-
ლოდა სამშობლოს: იგი ჰგოდებს და
სწუხს ჩვენს დამარცხებას, ოდესმე
ლალისა და უძლეველის დროშის დამ-
ცირებას... ეს დროშა აქამდე სჭერდა
და გრგვინავდა მთელს მცირე აზია-
ში, რისხვასა და ზარს სცემდა ყვე-
ლას, ვინც-კი საქართველოს შეუ-
რაცხყოფას განიზრახვიდა და ეხლა—

²⁾ ვახუშტის ოქმით, 1209 წ., იხ. „სა-
ქართველოს იუტიორია“, გვ. 222. ბროსტეს
და ზოგიერთ სხვა მეისტორიების სიტყვით,
1220 წ. იბნ-ალ-ათირი ამბობს, რომ 1220—
1221 წ. ქართველებსა და მონგოლებს სამ-
ჯერ ჰქონიათ ომი და მესამე ბრძოლაში ქარ-
თველებისათვის ოც-და-ათი ათასი კაცი მოუკ-
ლავთ, Histoire de la Géorgie, 1 part
II liv, p. 492—493 n² et n³.

ჰე, მუხთალიო წუთი სოფელო! — «იქმინა
უკუნ ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა
და მაღალისა და საჩინოსი დავითიან-
ნისა ღროშისა»³). პირველმა დამარც-
ხებამ დიდი ვნება და ზარალი არ
მოგვიტანა, მხოლოდ ჩვენი თავ-მო-
ყვარეობა შელახა, მარტო სახელი და
აბრუ გაგვიტეხა შეზობლებში, ოდ-
განაც მონგოლები სამშვილდეს მო-
ვიღნენ და მერე უკანვე დაბრუნდ-
ნენ⁴). უფრო საუბედურო იყო შემ-
დეგი შემოსევა, რომელიც რუსუ-
ლანის მეფობას მოხდა და რომელმაც
სრულიად ბოლო მოულო და დამ-
ხო საქართველოს თვით-არსებობა.
დიდმა ჩინგიზ-ყავნმა ქვეყნების და-

³⁾ ქ.-ც-ბა, გვ. 347.

⁴⁾ ერთს ომში ქართველებსაც გაუმარჯვნიათ,
მონგოლებისათვის უჯობნიათ. ასე ამბობს სომ-
ხების მეისტორიე ვარდანი. ეს სჩანს რუსუ-
ლანის წერილებიდგან, რომელიც იმან პაპა
ჭონორე შესაძეს მისწერა. ამაზედ სრული ცნო-
ბები ნახე ბროსტეს Addit. et eclair. à l'
hist. de la G. p. 301—303.

საპურობლად გამოგზავნა თავისი ოთხი ნოინი⁵⁾ ორმოცის ათასის ჯარითა. ნოინებმა იძულებულ ჰყენს ხეარაზმელი ჯალალადინი გასულიყო საქართველოდამ და მერე თითონ მოედვნენ ჩვენს ქვეყანას „მსგავსად მკალთა“... მტრის წინ დადგომა აღარ შეიძლებოდა, ძალ - ღონე არ იყო. ჩვენმა სარდალმა მუხას დე გოჭამ თავისის ხელით მოუკიდა ცეცხლი ტფილისს და გადასწვა. რუსუდანი ქუთაისში გაიქცა. ძლევა-მოსილი მტერი ბასრის მახვილით მიესია უპატრონოდ დარჩენილს ერს, დაიწყო საშინელი სისხლის ღვრა, — „სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ყოველნი აღავნი, ქალაქნი, სოფელნი, ველნი,

⁵⁾ ნოინი მთავარ ერისთავს ნიშნავს — „ოთხთა ერისთავთა მთავართა, რომელსა ქართველი ნოინობით უხმობენ“, ქ.-ც.-ბა, გვ. 358. ნოინი იყო ცხენოსანის ჯარის უფროსი, თუმანისა ანუ ათი-ათასის თავი, აგრეთვე სამეფო სახლის უფლის-წულიც, ვახუშტი, გვ. 234, შენიშვნა.

ტყენი, მთანი, ხევნი „... გული ჰშფო-
თავს და სული ჰძრწის, როცა აკვირ-
დები ამ სისხლის მორევს, სადაც
დიდთა და ჩვილთა აუარებელი გვა-
მი სცურავს და თვითოვეული უმანკო
მანვერპლი ჰლალადებს ცათა წინაშე⁶).
მაგრამ სისხლის ღვრასაც საზღვარი
აქვს, სისხლისაგან დაცლა სიკვდილის
მომავლინებელი ბოროტება იქნებოდა
და ამიტომაც ძლეულმა ერისთვებმა
ზავი მოსთხოვეს გამარჯვებულს მტერს.
იმასაც ხომ შეტიარაფერი ჰსურდა, —
ზავი მტრის ბატონობას ჰნიშნავდა.
მონგოლებთან ზავის დადება სანდო
იყო, რაღანაც „ტყუილი სიტყვა
ყოვლადვე არა იყო მათ შორის“,
„სიტყვა ტყუილი არ გამოვიდოდა
პირით მათით“⁷), მაგრამ რაკი ერთ-
ხელვე პირობით შეეკვროდნენ ვისმე,

⁶) ქ.-ც-ბა, გვ. 359 — 361.

⁷) იქვე, გვ. 361. ჩვენი მატიანე ქებით იხ-
სენიებს მონგოლებს, მაგ.: „ყოველი სიბრძნე
იპოვბოდა მათ შორის და უკველი გონიერება
მოეგოთ“ და სხ.

ზავის სიმტკიცეზედ თავის გამოდება
იცოდნენ... ნოინებმა ნელ-ნელა და-
იპყრეს მთელი სამეფო, გაინაწილეს,
ყველა მხარეს თავისი საკუთარი მცვე-
ლები დააყენეს („შანა“) და ხალხი
გავმგეგრეს, ხარჯი დაადეს. სულ ბო-
ლოს რუსულან დედოფალიც დამორ-
ჩილდა, მტერს თავი მოუხარა და,
რასაკვირველია, მეფურს თვით-მპყრო-
ბელობაზედაც ხელი აიღო... ამ
დროიდამ დაიწყო მონგოლების ბა-
ტონობა. სწორედ არავე დროსვე
სცხოვრებდა მეფე გიორგი მეხუთე,
პრწყინვალედ წოდებული.

იმ დიდსა და გრძელს სივრცეზედ,
რომელიც მონგოლების მფლობე-
ლობას უჭირავს, გიორგი V გან-
მარტოებით სდგას და აღმოსავლე-
თის ვარსკელავსავით ჰბრწყინავს, ელ-
ვარე სხივსა ჰქენეს წინაპართა სამე-
ფო გვირგვინს. მთელს ოც-და-რვა
წელს სამეფო ტახტიდგან ეს ვარსკელა-
ვი აცისკროვნებდა სამშობლოს და
ამ დროს განმავლობაში თვით სა-

მშობლოც ფენიქსებრ ჭანახლდა, გან-
სპეტაკლა, პატივი და დიდება მოიხვე-
ჭა. კრძალვითა და მოწიწებით ვუმ-
ზერთ ამ დიდ-ბუნებოვანის მეფის ცხო-
ვრებას, იმის მოღვაწეობას და არ
ვიცით, რა უფრო უნდა მეტად გვა-
კვირვებდეს—იმისი ძლიერება, თუ
„სიბრძნე-უონიერება“ და მეცნიერე-
ბა... მემატიანესაც ისე ლრმად ჰქიბ-
ლავს მეფის სიღიადე, ისე ანცვითრებს
იმისი დიდ-ბუნებოვანება, რომ თით-
ქო ენა ჩავარდნია და დასდუმებიაო;
მე არ ძალ-მიძს შესაბამად ქება შე-
ვასხაო, დედის ერთა იყო და დედის
ბუნება ვერც აიტანდა და არც შეე-
ძლო სხვა იმის მსგავსი ეშვაო, ყვე-
ლა კაცზედ უმჯობესი იყო დასხ.⁸⁾,—
ასე სჯის მეფეთა და კაცთა მსაჯუ-
ლი მემატიანე!.. მართლაც-და, მთე-
ლის საუკუნოების განმავლობაში გი-
ორგი მეხუთეს სწორი და ტოლი არა
ჰყავდა, მის მოღვაწეობასა და მო-

⁸⁾ ქ.-ც-ბა, გვ. 426, 432, 450.

ქმედებას თავისი მსგავსი არ მოეპოვ-
ბოდა. ტყუილად-კი არ აღარებს
„ქართლის ცხოვრება“ ამ მეფეს და-
ვით აღმაშენებელს. ბევრი საერთო
თვისება და ლირსება მოიპოვება მათ
შორის, დიდად მიაგვანან იგინი ერთ-
მანეთს, თითქო განვებამაც ერთ ნა-
ირი ხვედრი არგუნა ამ ორ შესანიშ.
ნავ მეფეს, თითქო ბედის წერამ
ერთსა და იმავე გარემოებაში ჩააყენა
და მოათავსა ეს ორი საკვირველი
კაციო...

საზოგადოდ ყველა კაცისა და გან-
საკუთრებით გვარგვინოსანის მოღვა-
წეობა დროთა და უამთა ვითარებით
უნდა განისაზღვროს. კაცის დიდ-ბუ-
ნებოვანება საჭმითა და ნაყოფით იც-
ნობება, მაგრამ ერთსა და მეორე-
საც დაშორებით მეტი ფასი სდევს,
როცა ქვეყნისათვის მშრომლისა და
გულ-შემატკიცარის სარბიელი ეკლით
მოფენილია. დიდ-ბუნებოვანი მეფე
დაბრკოლებას არ ერიდება, ეკლით
სავსე სარბიელს სთელავს და სტკეპნის,

ხელის შემშლელს გარემოებას თითქო
იმორჩილებსო... ამიტომ, როცა რო-
მლისამე მეფის ცხოვრებასა და მო-
ქმედებას მსჯავრსა სდებენ, სულ პირ-
ველად იმას აკვირდებიან და იკვლევენ,
რა გვარს გარემოებასა და მდგომარეო-
ბაში იმყოფებოდა მეფე, რამდენად
მძიმე იყო იგი ტვირთი, რომელიც
მან კისრად იდო და რომელსაც ქვე-
ყნის მსახურება ეწოდება. ჩვენც ამ
გზას უნდა დავადგეთ.

II

რასაკვირველია, მონგოლების ბა-
ტონობამ საქართველოს სახელმწი-
ფო დამოუკიდებლობა მოსპო, თვით-
მკურობელი სამეფო ტახტი ძირს და-
მხო. მეფე დიდის ხანის, ეგრედ წოდე-
ბულის ხაყანის ქვეშევრდომი შეიქმნა
და ამიტომაც სამეფო გვირგვინის მი-
ლება და ტახტზედ აბძანება ხაყანს.
ეკითხებოდა, იმაზედ იყო დამოუკიდე-
ბული. ხაყანი კიდევ სატახტო ქ. ყა-
რაყურუმში⁹⁾ იჯდა და იმ სიშორი-

⁹⁾ ეს ხატახტო ქალაქი ააშენა ჩინგის ხა-

დამ განავებდა თავისს თვალ-გადუ-
წვდენელს სამფლობელოს. იქ, იმ
ყარაყურუმს, მიეშურებოდნენ ტახტის
მემკვიდრენი და მეძიებელნი და მუხლ-
მოდრეკით ევედრებოდნენ თავიანთ
ქვეყნიურს მეუფეს მოწყალება მოი-
ღეო... არ შეიძლება ითქვას, რომ
ეს ყოვლად შემძლებელი მეუფე ძეირი
ყოფილიყოს მოწყალების გაცემაზედ,
არა, — იგი უხვად ურიგებდა სამეულ
სკიპტრას, მისი სიუხვე იქამდე მიდიოდა,
რომ ერთსა და იმავე დროს ორი და
სამი მეუფე ებძანა ხოლმე სამეფო ტახტ-
ზედ, მაგრამ ამ გვარი სიუხვე ხომ
არავის ეპრიანებოდა. აქ საჭმე იმა-
შია, რომ მეუფება ცალიერ სახელად
გარდაიქცა, თავისი პატივი და მნი-
შვნელობა დაჰკარგა, ბაგრატოვანთა
თვით-მცყრობელობისა მხოლოდ აჩრ-
დილი-ღა დარჩა.

კიდევ კარგი, რომ მეუფეს მარტო

ნის შვილმა ოლოდამ. იგი მდებარეობდა მდი-
ნარე ორკონის მარცხენა ნაპირზედ, ამურის მი-
დამოში, H. de la G. p. 485 n⁴.

ერთი ბატონი ჰყოლოდა, ვინ ინაღვ-
ლიდა, რომ იგი მხოლოდ მონგოლ-
თა მეუფის ხაყანის მორჩილი ყო-
ფილიყო. სავალალო ის უფრო გახ-
და, რომ მეფეს სხვა ბატონებიც თავს
შემოეხვივნენ. ასეც უნდა მომხდარი-
ყო, რადგანაც სატახტო ყარაყურუმი
შორს მანძილზედ იყო და ხაყანის
ქორებულ მხედავი თვალიც-კი ვერ
სწვდებოდა ვრცელს სამფლობელო-
სა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩინ-
გიზ-ყაენის მემკვიდრეებმა გაიყვეს მონ-
გოლების უზარმაზარი სამკვიდრებე-
ლი და თითოეულს მემკვიდრეს სა-
კუთარი ნაწილი ერგო. ამ ნაირად
დაარსდნენ საუენოები. ამ საყენოებს
თავს დასტრიალებდა ხაყანი, უზენა-
ესი ძალა ყარაყურუმში სუფევდა და
ამიტომ ყაენი ხაყანს ემორჩილებო-
და ¹⁰⁾). გაყოფის დროს საქართვე-

10) ხაყანის ქვეშევრდომობა პირველად უარ-
ჲყო ყაზან ყაენმა, რომელმაც 1295 წ. და-
იპყრო მონგოლთა სამფლობელო, H. de la
G. p. 615, n^o. მაჭმადიანობის გავრცელე-

ლოც ცალკე ყაენს ერგო და, რა-
საკვირველია, მეფეს ახლო ბატონი
გაუჩნდა — ყაენი. მძიმე და ძნელი შე-
იქმნა მეფის მდგომარეობა. ჯერ ერ-
თის ბატონობა ხომ ვაი ვაგლახია და
ორისა უფრო უარესი უნდა ყოფი-
ლიყო. სიბრალულის თვალით უც-
ქერი ამ მდგომარეობას, გულ-წრთვე-
ლად სწუხ, რომ ოდესმე მძლავრი და
თავ მომწონება გრატოვანიორ ცეცხლ
შუაა, არ იცის, რა ღონე იძიოს,
ეის და როგორ ასიამოვნოს, რა ნა-
ირად მოაწყოს თავისი დამოკიდებუ-
ლება. და სამწუხარო კიდევ ისაა,
რომ ბევრჯელ თვით ნოინიც-კი მე-
ფის მბრძანებელია... დიალ, მოხდე-
ბოდა ხოლმე, რომ ნოინი თავის ნე-
ბაზედ განაგებდა საქართველოს, ჰმარ-
თვიდა სამეფოს. ასეთნი იყვნენ, მაგ.,
ხუტლუშა და სადუნი ¹¹⁾).

ამ პოლიტიკურმა წეს-წყობილებამ,

მა მონგოლთა შორის ამ ყაზან ყაენის დრო-
დამ იწყება.

11) ქ.-ც.-ბა, გვ. 412, 426.

როგორც უკვე შევნიშნეთ, სრულიად გაანადგურა ბაგრატოვანთა მეფობა, თვით მეფობა სათამაშო ბურთად გარდაიქცა ხაყანის ხელში, სამეფო ტახტი თითქმის სამასხაროდ გახდა. მონგოლებმა პირველადვე ხელი შეუწყეს ამ გარემოებას და რატომაც არა, როცა მეფობის დამცირება ერს სასოწარკვეთილებაში ჩაგდებდა და გულს გაუტეხდა. საქართველოს დაპყრობას თან მოჰყვა ეგრედ წოდებული უმეფობა, რომელიც რამდენსამე წელს გაგრძელდა. იმას ზედ დაერთო ორ-მეფობა და შემდეგში ხომ ყველა ეს მასხრობა დაგვირგვინდა სამ-მოქმედებიან კომედიით — ეგრედ წოდებულ სამ-მეფობით¹²⁾.

12) უმეფობა — შემდეგ რუსულანის სიკვდილისა, როცა იმისი შვილი დავით ნარინი უაენთან იმყოფებოდა და ლაშა ვიორგის მემკვიდრე კიდევ პატიმრად იყო სულტან უასლანის საბრძანებელში. იგი პატიმრად ჰევე რუსულანის ბრძანების გამო. ორ-მეფობა იქ დროს ეწოდება, როცა ორივე დავითი,

უმეტობას კიდევ რაიმე საბუთი მო-
ეპოვებოდა, რაიმე *raison d'être*-ი
ჰქონდა, მაგრამ ორ მოქმედებიანი
კომედია — თან-მეზობელია ულო ყაფნა
განვებ შეთხზა ჩვენის სამეფო ტახ-
ტის დასამცირებლად. დიდი სჯა და
ბჭობა არ იყო საჭირო: მემკვიდრე-
ობის ძალით, ისტორიულის საბუ-
თების მიხედვით მეფობა ლაშას
შვილს ეკუთვნოდა. მართალია, რუ-
სულანის შვილს, დავით ნარინს თი-
თო-ოროლა მომხრე ჰყეანდა, თით-
ქო იმის სასარგებლობაც შეიძლებო-
და კიდეც მცირედი რამე თქმული-
ყო ¹³⁾), მაგრამ სრული სიმართლე-კი

რუსულანისა და ლაშას შვილი, ერთად მე-
ფობდნენ, ერთს სამეფო ტახტზედ ისხდნენ. ეს თან-მეფობა სულ სხვაა და საქართველოს თან-მეფობას გაყოფა კიდევ სხვა: სამ-მეფობას უწოდებენ იმ ხანას, როცა დიმიტრი თავდა-
დებულის სამი შვილი — დავით VI, ვახტანგ
III და ყრმა გიორგი ბრწყინვალე მეფებად
ირიცხებოდნენ, სამნივე ერთად ქართლის მე-
ფებად ითვლებოდნენ.

13) თქვა კიდეც, ქ. ც-ბა, გვ. 381.

იმას ჰლალადებდა, რომ დავით V აბ-
ძანდეს მამა-პაპათა ტახტზეღ... ხა-
უანმა და ულო უაენმა კი სხვაფრივ
მოახერხეს: ერთად ორი მეფე დააბ-
ძანეს ტფილისში, — ორსავე ერთ ნაი-
რი უფლება აქვთო!.. მეტიც საჭირო
არ იყო. დიდი ჭირი და სენი შესძლვ-
ნა ამ ამბავმა ჩვენს სამშობლოს.
ხალწმა და განსაკუთრებით მთავარ-
ერისთავებმა პატივი და რიდი დაჰ-
კარგეს ტახტისა და მეფისა. ამას დი-
დი გავლენა ჰქონდა საქართველოს
მომავალს ბედზედ. ის უბედურება,
რომელსაც სახელად სამ სამეფოდ
გაყოფა და ხუთ სამთავროდ განაწილება
ჰქონიან, პირდაპირი შედეგი იყო მონგო-
ლების ბატონობისა და იმათის პო-
ლიტიკურის მანქანებისა. აქ, ამ ბა-
ტონობასა და მანქანებაში ჩაისახა ბო-
როტება, რომელიც ნელ-ნელა ასუს-
ტებდა და ჰლრლნიდა ჩვენს ერთობას.
ბოლოს ხომ ამ ბოროტებამ აშკა-
რად თავი იჩინა მეთხუთმეტე საუკუნე-
ში...

III

რასაკვირველია, მეფობისა და ტახ-
ტის დამცირებას ზედ მოჰყვა მთავარ-
ერისთავთა გაძლიერება და „განდი-
დება“. რა-კი მეფე ხაყანისა და ყაე-
ნის ვასალი შეიქმნა, მისი ყურ-მოჭ-
რილი ყმა გახდა, მთავარნი და ერის-
თავნიც გალალდნენ, თავს გავიდნენ,
თუ შეიძლება ასე ითქვას, ალირი
აიწყეიტეს და ამიტომ თემის განგება
და მართვა პირად საქმედ გაიხადეს,
თავისს საკუთრებად გარდაიქციეს. ასეც
უნდა ყოფილიყო და ეს მოვლენა
პირდაპირ მომდინარეობდა საქართ-
ველოს სამეფო წყობილებიდგან. მთე-
ლი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება
ცხადად ამტკიცებს ერთს უტყუარსა და
საყოველთაო ამბავს: როცა მეფე და
ტახტი უძლურ ყოფილა, მაშინ დი-
დებულნი და მთავარნი გაძლიერებუ-
ლან, „განდიდებულან“. იმასაც ვხე-
დავთ, რომ ხშირად ეს გაძლიერება
თავ-გასულობამდე მისულა. მიზეზი
ცხადია: ძველი საქართველო ფეოდა-

ლური სახელმწიფო იუნ, სადაც ფე-
ოდალობასა და მაღალ წოდებას შე-
ტად დიდი გავლენა ჰქონდა, დიდი
პატივი და ლირსება ეპყრო¹⁴⁾). ამ ფე-
ოდალობას თავს უჭერდა და ჰლაგ-
მავდა მხოლოდ მეფე და ისიც მარტო
მაშინ, როდესაც თითონ ძლიერი იყო
და ლორე შესწევდა. მონგოლების ბა-
ტონობამ მეფე უბრალო ვასალად
გარდააკცია და ამის გამო ფეოდა-
ლობამაც თვით წამოჰყო, წელში მაგ-
რა გაიმართა, ურჩიაბა და ამაყობა
დაიწყო. თვით მონგოლებიც ესმარე-
ბოდნენ და ხელს უწყობდნენ ფეო-
დალების გაძლიერებას, რადგანაც ეს
მათთვის სასარგებლო იყო. მართ-
ლაც-და, როცა დიდ კაცობა ჩვენში
ვალალდებოდა და გაკადნიერდებოდა
ხოლმე, მაშინ მყუდროებისა და წე-
სიერების მაგიერად შულლი და შეფო-

¹⁴⁾ ამ საგნის შესახებ იხ. ბროსეს *Introduction, p. LXXIX—LXXXV*, სადაც
განმარტებულია წოდებრივი წყობილება სა-
კართველოსი.

თი იბადებოდა. ეს უკანასკნელი ხოშ
ასუსტებდა ერის ძალ-ლონეს და
უცხოელ მცრის ბატონობას უფრო
ფრთხებს ასხამდა. მონგოლების დრო-
საც ასე იყო და რა საკვირველია, რომ
იგინი ზრუნავდნენ შეფოთი და შინაუ-
რი აღრევა არ დაჰკლებოდა საქართ-
ველოს. ჯერ ისევ პირველადვე უმე-
ფობაში დიდი უწესოება და შუღლი
დაჰბარა ფეოდალთა შორის, — „თვი-
თოეული თავადი თავისა თვისისათვის
გააგებდა და ზრუნვიდა“. ამ არეუ
ლობაში მეფური ძალა ხელთ იგდო
ეგარსლან ბაკურიციხელმა, „კაცმა
საკვირველმა“, „ლრმად მოუბარმა,
მხნედ მეოშარმა“, თუმცა-კი ლა-
რიბმა და ლატაკმა, „არა რას სა-
ჭონლისა პატრონმა“. ამ მართლაც-
და საკვირველსა და საოცარს კაცს,
რომელსაც, მატიანის თქმისა არ იყოს,
„კნინლა სახელი მეფობისა ეპურა“,
წინაპირველად „ყოველნი წარჩინე-
ბულნი“ ემორჩილებოდნენ, მაგრამ
მფრე კი განუდგნენ: თვითოეულმა მთა-

ეარმა თაეისკენ გაიშია... გაქრა მორ-
ჩილება და წესი, გამეფდა არეულო-
ბა და შუღლი. მთლად დაიშალა და
დაირღვა სახელმწიფო ცხოვრება. და
როცა ამ ყოფა-ცხოვრებას თვალს
ადევნებთ, ასე გგონიათ, თითქო ეს
რაინდული და ოდესმე ბრწყინვალე
დიდ-კაცობა განადირდა და გაველურ-
დაო!.. უეჭველია, რომ ხალხი დიდ-
ხანს ვერ აიტანდა ამ მდგომარეობას,
ცხოვრება ჰამქრალიყო, თუ-
კი საქმეს საიდგანმე არ ეშველებოდა.
საბედოდ, საქმეს-კი ეშველა, მაგრამ
თავი მიზეზი, რომელმაც იგი მდგო-
მარეობა გამოიწვია, ისევ ხელ უხლე-
ბელი დარჩა... მთლად საქართველოს
დიდებულნი შეიკრიბნენ და გადას-
წყვიტეს: ლაშა გიორგის შვილი მო-
ვითხოვოთ საბერძნეთიდამაო, რად-
განაც, თუ არ მეფეს, ჩვენ ერთმა-
ნეთს ვერ დავემორჩილებითო, წე-
სად არა გვაქვსო₁₅). რასაკვირველია,

ბატონის დაუკითხავად არა შეიძლებოდა-რა, უიმისოდ მეფის მოყვანა აბა როგორ მოხერხდებოდა და ამიტომ ნოინებს მოახსენეს ყველაფერი და იმათის დახმარებით სულთანმა ქართველებს მოსცა ლაშას შეიღი დავით, რომელიც პატიმრად ყოფისაგან გარეწნობით სრულიად შეცვლილიყო, ადამიანის სახე და იერი დაეკარგა.

მაგრამ მეფობამაც ვერ შესცვალა შინაური უწესოება, ფეოდალების არევ-დარევა, და ვერც შესცვლიდა, რაღ განაც საზოგადო მიზეზი და გარემოება ხელ-უხლებლად დარჩა. რაკი ერთ-ხელვე საქართველოს პოლიტიკური მაჯა ყარაურუმში სცემდა და ამიერთა თუ იმიერთ ბაგრატოვანი ჩინგიზ ყაენის ტახტის ყმა გარდაიქცა, რაკი ტფილისსა და ქუთაისში განჰქონა სახელმწიფო თვითმშენებლების მიერთებისა, მაშინ ცხოვრება. ერთსა და იმავე დონეზედ დადგა და ფეოდალობასაც ფრთხები ვერ შეეცვეცებოდა. ასე და ამ გვარად პოლიტიკურმა მორჩილე-

ბამ, კასალობაშ დაპირადა ფეოდალუების ურჩობა; ერთმა და მეორემ კიდევ სულ ბოლოს საქართველო დაამხო, დაპქსაქსა... აი სად უნდა ვეძიოთ იმისი მიზეზი, რომ XV საუკ. „სრულიად საქართველომ“ თითქმის ყოველივე მნიშვნელობა დაპკარგა მეზობელ ერთა შორის.

კიდევ კარგი, რომ მონგოლებს რაიმე სასარგებლო წესი შემოეღოთ, რომელიმე გამოსადეგი დაწესებულება დაემყარებინათ საქართველოში. ყოველად შეუძლებელი და მოულოდნელი იყო მათგან ქვეშევრდომს ერს რაიმე სიკეთე ენახა, გამოსადეგი რამე ესწავლა, გადმოეღო; და ეს იმიტომ, რომ თითონ მონგოლებს არა მოეპავებოდათ-რა: მთელს იმათს ავლა-დიდებას შეადგენდა თითო თროლა ნაწყვეტი ჩინურის სიბრძნისა და საომარი წეს-წყობილება. მონგოლთა ცხოვრება საომარ რიგზე და სალაშკროდ იყო მოწყობილი, მათი სამფლობელო სამხედრო სახელმწიფოს

წარმოადგენდა¹⁶⁾ და თერთ ეგრედ
წოდებული ურდო სალაშქრო ბანაკი
გახლდათ და სწვა არაფერი, მთელი
მათი სიცოცხლე ომიანობასა და სის-
ხლის ლვრაში დაილია და ბოლოს
ხომ, რაც მახვილით დაარსდა, მახ-
ვილმავე ჰშთანთქა და იმსხვერპლა. .
დაიჭირეს თუ არა საქართველო, მონ-
გოლებმა მაშინვე სალაშქროდ მოაწ-
ყეს მისი მართვა. მთელი საქართვე-
ლო თუმნებად გაჰყვეს; თუმანი კიდევ
სამხედრო საერისთაოს შეადგენდა,
სალაშქრო სამოურავოს, თუ შეიძ-
ლება ასე ითქვას. თუმნის მთავარს,
ბევრის მთავარს ათი ათასი მხედარი
ებარა და ეს მხედრობა სალაშქროდ
უნდა გამოეყვანა, როცა უბრძანებ-
დნენ. უწინდებული მთავარ-ერისთა-
ვი თემის სრული მმართველი იყო და,
სამხედრო საქმეებს გარდა, სხვაც ბევ-
რი რამე ეკითხებოდა, მრავალ გვარი

¹⁶⁾ Шлоссеръ, Всемир. Ист., т. III,
стр. 96—97.

მოვალეობა და უფლება ჰქონდა მი-
ნიჭებული. ეხლა-კი იგივე მთავარ-
ერისთავი *de facto* მარტო ჯარის უფ-
როხი შეიქმნა. რადგანაც პირველად
ნოინებმა ერთმანეთში გაინაწილეს
დაპყრობილი საქართველო, ამიტომ
თითოეულს ნოინს რამდენიმე თუმნის
მთავარი ერგო წილში, მთელის ქვეყ-
ნისაგან ერთი უზარმაშარი ბანაკი
შესდგა, სადაც საუკეთესო ვაჟკაცო-
ბა ყოველ წამს მჭად იყო სალაშ-
ქროდ. მონგოლებიც, რასაკვირვე-
ლია, მარტო ამას ეძებდნენ, რადგა-
ნაც მათი სიცოცხლე მთლად განუწ-
ყვეტელს ლაშქრობას უნდებოდა.
შემდეგში, როცა ულო ყაენმა არ-
ღუნი გამოგზავნა საქართველოში
მცხოვრებლების აღსაწერად, აღწერა
სამხედრო საზრისის გამოც მოახდი-
ნეს: უნდა შეეტყოთ და ვარაუდი აფ-
ლოთ, რამდენის შეომარის გამოყვანა
შეიძლებოდა საქართველოდამ და რა
ხურსათის გამოტანას მოახერხებდა
ხარჯით დატვირთული ერი. როგორც

ვიცით, ათზე ერთს „სრულისა მიწისა მქონებელს“ გლეხს განუჩინეს ლაშქრად გასვლა. უკა შესდგა ცხრა თუმანი, ანუ ოთხმოც-და-ათი ათასი მხედარი ¹⁷⁾). ეს ამოდენა ვაჟკაცი თავ-განწირებით სისხლს ღვრიდა ომის ველზედ და მერე იცით ვის გულისა-თვის? — მოსისხლე მტრის გასაძლიე-რებლად!.. მთელი მცირე აზია და ეგვიპტე ამ ვაჟკაცობის სისხლით მო-იჩწყო და გაიერინთა... და უცხო-ეთს ვინ - და იტყვის, — ხშირად ეს ძვირვასი სისხლი სამშობლოშივე იღვ-რებოდა, ხშირად ქართველი ქართუ-ლობასავე ჰელეტდა და ჰმუსრავდა, იმიტომ-რომ მონგოლებს ასე ეპრია-

¹⁷⁾ ქ.-ც-ბა, გვ. 387. ალწერა მოხდა 1258 წ. ვახუშტის აზრით ათს კვამ და ს გლეხზედ მეათე მოლაშქრედ უჩდა წასული-ყო. ბროსეს არა სხვერა, თუ ამოდენა ლაშ-ქრის გამოყვანა შეეძლო იმ დროს ქართლ-კახეთსა, H. de la G. 551, n^o, მაგრამ მისი შოსაზრება, ჩვენის შეჩედეულობით, ნამდაილს. საბუთებზედ არ არის დამყარებული.

ნებოდათ!.. არ შეიძლება ესთქვათ, რომ
მონგოლებს სამხედრო ნიჭი და ალ-
ლო აკლდათ, არა, — იმათ კარგად ეს-
მოდათ, ვინ როგორი მოლაშქრეა.
რასაკვირველია, პირველადვე შეიგნეს
ქართველთა ვაჟყაცობაც და ამიტომ მე-
ტი-ღა იყო, როცა დავით მეფემ ყაენს
მოახსენა: «არა არს ჩვეულება ქართ-
ველისა, რათა მტერი იხილოს და
ზურგი შემოაჭიროსო»... ომსა შინა
სიმტკიცეს მონგოლებიც ჰქედავდნენ
და ქართველობა ლაშქრობის დროს
მოწინავე რაზმად ჰყვანდათ კიდეც.
ამას თანამედროვენიც ჰმოწმობენ ¹⁸⁾ ,
მაგრამ, რაც უნდა იყოს, დაუცხრო-
მელმა ომიანობამ თვით რაინდული
ივერიაც-კი შეაწუხა, დაუსრულებელ-
მა მახვილის ხმარებამ დროვინვა და
ვაება გამოიწვია. ხალხში. საყურად-

¹⁸⁾ სჩვათა შორის, სომხების მწერალი მა-
ლაქია ბერი, Addit. et éclaircis. p. 446,
თუმცა იგი თავისს თანამემამულეებსაც პირველს
რაზმში აყენებს.

ღებო კიდევ ისაა, ორმ ეს უკმაყოფილება პირველ ხანებში მოხდა და ალბად ხალხი დიდად უნდა შეწუხებულიყო, როცა თავი გამოიდო. ცარიელის ვაებითა და ვოდებით არა გაკეთდება-რა, საქმეს არ ეშველება. სხვა ლონისძიება იყო საჭირო და ქართველებმაც შეთქმულობა განიზრახეს, დააპირეს სამშობლოს განთავისუფლება. შეთქმულობა კოსტის თავს მოხდა და იქ, იმ მიყრუებულსა და მიგარდნილს ადგილს, ჩუმად შეიკრიბნენ საუკეთესო მამულიშვილნი. ყრილობაზედ თითქმის ყველა ამიერი და იმიერი მთავარი დაესწრო. საუბედუროდ, საქმე სხვაფრივ დატრიალდა: მტერი თავს დაესხა კრებას და შეთქმულნი შეიპყრა, ძლივს თითო-ოროლამ გაასწრო¹⁹). ამ პირველმა შეთქმულობამ კიდევ კარგად ჩაიარა, არავის არა დაუშავდა რა. სულ სხვა ნაირად გათავდა მეორე შეთქმულობა,

რომელსაც მარტო უცხოელნი მწერალნი მოგვითხრობენ. 1249 წ. ლაშა გიორგის შეილმა დავით V, ნაღიმობის დროს, როცა ყველანი „ჩენებურად“ ლვინით შექეიჭებულნი იყვნენ, გამოაცხადა მონგოლები უნდა გავდევნოთო... ამაზედ ყველანი დასთანხმდნენ, ერთის მთავარის გარდა, სახელდობრ ავაქისა. მეფეს განზრახვა მალე შეუტყეს, ხელ-ფეხ შეკრული წაიყვანეს ყაენთან და მთელი სამი დღე მათრახითა და ჯოხით სცემდნენ. რასაკვირველია, დიდებულთაც არ ასცდათ ეს შეურაცხება. შემდეგ მონგოლთა ჯარი მოედო საქართველოს და თავს. ზარი დასცა ილაჯ-გაწყვეტილს ერს²⁰). საჭიროა გვახსოვდეს, რომ როგორც პირველისა, ისე მეორე შეთქმულობის საბაბი უფრო სამხედრო ბეგარა იყო. სწორედ მძიმე იყო და

²⁰⁾ H. de la G. p. 534, n^o 8. აგრეთვე Addit. et éclaircis. p. 430, სადაც კორაკოსი მოგვითხრობს ამ ამბავს.

ძნელად ასაჭანი მონგოლთა სამხედრო უდელი და თვით ვაჟკაცობით განთქმული ქართველიც-კი იხრებოდა იმ უდლის ქვეშ, სცდილობდა როგორმე თავი დაეხსნა. სამწუხაროდ, ბოლომდე ედგა ქართველს იგი უდელი და თუ შემდეგში შეთქმულობა ველარ გაჰყედა, ეს იმიტომ-კი არა, ვითომ ტვირთი შეუმსუბუქდა, სრულებითაც არა,—დიდმა სისხლის დენამ ქართველი დაასუსტა და თავისუფლების ხალისი შეუმცირა...

V

მონგოლებმა საქართველო მარტო სისხლის ღვრასა და სამხედრო ბეგარას როდი დაჯერეს. მართალია, მთელი მათი სიცოცხლე ომიანობას უნდებოდა, მაგრამ ომიანობისათვის, მახვილსა და მკლავს გარდა, სარჩეო და სურსათია საჭირო. ხოლო იგი ხალხი, რომელიც განუწყეტლივ ომიანობას მისდევს და სხვათა ერთა დამონავება და ქლეტა ხელობად გარდუქმნია, თითონ მოკლებულია ეკო-

ნომიურს ბალ-ლონეს და სხვების
 პირში შემაცექრალია, დავლასა და
 ძარცვაზედ უჭირავს თვალი. ასეთნი
 იყვნენ მონგოლებიც. ისტორიულს ას-
 პარეზზედ გამოსვლის უმაღვე მათ
 სხვების დამონავება დაიწყეს, ომს მი-
 ჰყვეს ხელი. სარჩო-საბადებლად-კი „ხა-
 რაჯა“ და დავლა გაიხადეს ამიტომაც
 ვისაც-კი დაპყრობდნენ, მაშინვე ხარ-
 ჯით დატვირთავდნენ ხოლმე. და
 რადგანაც მონგოლების ქონებრივი
 სალარო თითქმის სულ ცალიერი
 იყო და მათ არც მრეწველობა და
 არც სხვა გვარი წარმოება არ მოე-
 პოვებოდათ, ამიტომ ხარჯს დიდს
 ადებდნენ დაპყრობილს ხალხს.. მათი
 ეკონომიური ულელი ნაკლებად მძი-
 მე არ იყო სამხედრო ბეგარაზედ. ამ
 ულელს ხალხი კიდევ როგორმე გა-
 უჭირებლად აიტანდა, თუ საუკეთე-
 სო გშრომელი ვაჭკაცობა მუდამ ია-
 რალს ქვეშ არა მდგარიყო, მაგრამ
 საქმეც ისაა, რომ სამხედრო ბეგარას
 ზედ „ხარაჯაც“ დაერთო. საქართვე-

ლო თრ-გვარად შეჰუთეს: სისხლის
დენას არ დაჯერეს, ქონებაც ხელი-
დამ გამოაცალეს. სისხლის ნიაღვარს
თან მიკქონდა ქართველის სარჩო-სა-
ბადებელიც და ყოველსაც ამას ჰყლა-
პავდა იგი ვეშაპი, რომელსაც საერ-
თოდ მონვოლი ეწოდება. ხარბი და
გაუმაძლარია ეს ვეშაპი და როცა
აკვირდები, თითქო უძირო სტომაქი
აქვსო. მთელი სისხლის ზღვა შესვა
ამ ვეშაპშა, აუარებელი სურსათი შეს-
ჭამა და მოინელა!..

როცა არღუნი გამოგზავნეს მკვიდრ-
თა აღსაწერად, მან მთლად ერის ქო-
ნება და სიმდიდრეც შერტყო, ყველა-
ფერი იანგარიშა და ანუსხა, — „კაც-
თაგან პირუტყვთამდე, ყანით ვენა-
ხამდე და წალკოტით ბოსტნამდე“ ²¹⁾.
ეს იმიტომ, რომ შეუწყნარებელისა და
სხვის მაცქერალს მტერს ჰსურდა,
რაც შეიძლება, ბევრი სიმდიდრე გა-
ეგლიჭა დაპყრობილებისათვის. ყვე-

ლას ხარჯი დაადეს, — დილსა თუ პა-
ტარას, გლეხსა თუ თავადს; თითო-
ეულს თავისი ხვედრი გარდასახადი
შეჰქონდა ბატონის • სალაროში — ხე-
ლოსანს, ვაჭარს, მჭედელს, მეთევ-
ზეს, მაღნის მუშას. სიხარბემა და ან-
გარებამ თითქო საზღვარი და დასას-
რული არ იცოლაო, მთელს ქვეყანას
სიღარიბე და სიღატაკე მოეფინაო, —
ასე მოგვითხრობს თანამედროვე მწე-
რალი და სრულიად მართლადაც მო-
გვითხრობს 22). მონგოლები ყველა-
ფერს საჭიროებდნენ, უარს არაზედ
ამბობდნენ და ხარჯიც მრავალ გვა-
რი შემოიღეს. ულო ყაენმა, მაგ.,
დააწესა ხარჯში აეღოთ ხორბალი,
ბრინჯი, ლეინო, ტომრები, ცხენის
ნალი, მშეილდის ლარი, ისარი; ოც
თავს საქონელზედ ერთი თავი და 20
თეთრი. ვისაც გადახდა არ შეეძლო,
შეიღებს ართმევდნენ გირაოდ 23).

22) Addit. et éclaircis. p. 432, კირა-
კოზის ცნობანი.

23) ibid კირაკოზი ხარჯს საზოგადოდ აღ-

მხოლოდ სასულიერო წილება გა-
დარჩა ხარჯს, სხვებს-კი გარდასახადი
დააწევა ტვირთად. ასე გასინჯეთ, ბავ-
შვსა და უძლურს მოხუცსაც-კი, თხუთ-
მეტ წლიდამ სამოც წლამდე, სამოცი
თეთრი უნდა ეძლიათ სულზედ. და
ვაი იმის ბრალიც, ვინც ამ ხარჯს
თავიდამ აიცდენდა, ხარჯის მკრეფელს
დაემალებოდა, — დაიჭერდნენ თუ არა,
ხელ-ფეხ შეკრულს უწყალოდ სცემდ-
ნენ ჯოხით, სანამდე ტანი არ დაუ-
ლურჯდებოდა, ვიღრე მთლად ხორ-
ცი არ დაუსისხლიანდებოდა²⁴⁾). და-
წესებულს ხარჯს კიდევ ვინ ინ-
ალვლიდა, რომ სხვაფრივ მაინც
ცოტად შელავათი ჰქონოდათ მკვიდრ-
თა, მაგრამ მონგოლები ხარჯს
არა სჯერდებოდნენ და, როცა სად-
მე მივიდოდნენ, ყველაფერი მუქთად
და უფასოდ უნდოდათ: ცხენი, სას-

წერს და, რასაკვირველია, ეს ხარჯი ქართვე-
ლებსაც ედოთ.

²⁴⁾ ibid, p. 450—451.

მელი, საჭმელი, საცმელი; მათთან
არაფრის ჯამოჩენა არ შეიძლებოდა,
რისიმე შენახვა შეუძლებელი იყო-
ვო²⁵); ძარცვა - გლეჯა გახშირდა,
თითქო წესად გარდაიქცა. გაუმაძღ-
რობამ კიდევ იქამდე მიაღწია, რომ
მეფის სამხარეულოში ცრეარი რომ
დაეკლათ, იმაზედაც „ხარაჯას“ იღ-
ბდნენ. ასე იქცეოდა მეფის კარს
მყოფი ვილაკა სპარსი ხოჯა — აზიზი²⁶).
ძნელი და სათაკილო იყო ამ გვარი
მდგომარეობა. მეფემაც ვერ მოითმი-
ნა და ხმალს ხელი წაივლო, „რამე-
თუ ვერ თავს იდო ესოდენი შეურაც-
ხება“... საუბედუროდ, განდგომაშ
უნაყოფოდ ჩაიარა, მეფე და იმისი
მომხრე სარვის ჯაყელი დაპარცხეს
და დავით V იძულებული შეიქმნა
კისერი მოეხარა ყაენის წინაშე...
საყურადღებო კიდევ ისაა, რომ, სა-

²⁵⁾ ibid, p. 426—427.

²⁶⁾ ქ.-ც.-ბა, გვ. 389. ამ ხარჯს ტაღმა-
ერქება.

ზოგადო ხარჯს გარდა, მონგოლები მა განსაკუთრებული სამხედრო გარდასახადიც შემოიღეს. თუმნის მთავრისათვის თითო სოფელს დღეში უნდა ეძლია ორი ცხვარი და ორი დრაჟანი, ათასის თავისათვის ამისი ნახევარი; გარდა ამისა, თითო ცხენის შესანახად დადებული იყო სამი თეთრი²⁷). ერთის სიტყვით, უხარჯოდ აღარა დარჩა-რა და მონგოლების ფინანსებურმა წესმა ისე მაგრად შეჰმოჭა საქართველო, რომ ხსნა არსა-იღამ იყო, — „შევიწროებული იყო

²⁷⁾ Introduction, CLX, § 16. საყავენო და ცალკე ბაყი იყო — სამი თეთრი ასა სა-თირზედ, რაც-კი რამე გაიყიდებოდა ტფილის-ში. აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ დრაჟანი და ერთის ფულია და ექვსი აბაზი ლირდა, თე-ორი ვერცხლის ფული იყო შაურად ლირებული. სათირი — 3 მან. 60 კაპ. მეტი არც ას იქნება, რომ, ჩამჩიანის სიტყვით, საქართველოსა და სომხეთს დაადეს ხარჯად სამოცი ათასი ოქროს ფული, H. de la G. p. 551, n³.

მეფე და ყოველი საბრძანებელი მისი
აღვთვალვისაგას არღუნისაო“...

VI

თვით-არსებობის მოსპობა, ყმობა
ერისა სხვა ფერსა სდებს მის შე-
ნაურს ცხოვრებას. მაშინ ერის მთე-
ლი აგებულება მოდუნებულია, ყვე-
ლა ძარღვი მოშლილია. ცხოვრება
რიგსა და წესზე არ მიმდინარეობს.
ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ერთის
სიტყვით—ყველაფერი, რაც-კი ერის
„წმიდათა წმიდას“ შეადგენს, შერ-
ყეული და დარღვეულია. ეს ბორო-
ტება თან მოჰყვა, რასაკვირველია,
მონგოლების ბატონებასაც. ასეც უნ-
და მომხდარიყო, რადგანაც უცნაურობა
და სასტიკმა ქარიშხალმა დაპბერა
ჩვენს ცხოვრებას და ეს უკანასკნელი
წაპლეკა და სახე უცვალა. რა კი ქა-
რიშხალის გამო ცხოვრების ჩარხი
უკულმა დატრიალდა, ცხოვრებასაც
ყველაფერში უკულმართობა დაეტყო.
სარწმუნოება ხომ დვთიური, უზენაე-
სი ძალაა, რომელსაც ერისა და კერ-

ძოდ აზამიანის სული და გული უპ-
ყრია. ეხლა ამ ცხოველ-მყოფელმა ძა-
ლამაც-კი ჰატივი დაჰკარგა და ქრის-
ტიანობა იქამდე შეილახა, რომ თვით
ქრისტიანობის მღალადებელი და მქა-
დაგებელი სასულიერო წოდება ბო-
როტების სადგურად გარდაიქცა. ხან-
დახან ამ წოდების პირველი წარმო-
მადგენელი — მღვდელ-მთავარიც კი
ზნეობით გახრწინილს არსებას წარმო-
ადგენდა, იგი იყო „ლალ-ამპარტავა-
ნი, ანგარი, ბოროტის მყოფელი, უწე-
სო“... სარწმუნოება ისე დამცირდა,
ისე ძრიელ აეხადა ჰატივი და სიყვა-
რული, რომ ეკულესიებისა და მო-
ნასტრების ძარცვას ხელი მიჰყვეს...
და ვინ? — „მთავართა იწყეს ხელის
შეხებად საყდართა და მონასტერ-
თა!“²⁸⁾ საკვირველი აქ არა არის-რა,
რადგანაც მონგოლებმა მოჰყინეს ეს
ბოროტება ჩვენს ქვეყანას: პირვე-
ლადვე, სხვა-და-სხვა ბარბაროსობას

გარდა, იმათ დაიწყეს ეკულესიების ძარცვა, ხატებსა და საეკულესიო ნივთებს ძვირფასს სამკაულსა ჰგლეჯდნენ, წმინდანების გვამს სძრცვიდნენ და (სხ. 29) მართალია, მაჰმადიანობის მიღებამდე მონგოლებს არა სძულდათ ქრისტიანობა, თითო - ოროლა ყაენმა, ასე გასინჯეთ, ქრისტიანობა კიდეც აღვიარა და რომის პაპის მადლობა დაიმსახურა ³⁰), მაგრამ ეს იმათ მაინც არ უშლიდა ქრისტიანობის 'შეგინებას. შეტადრე მაჰმადიანობის შემდეგ საშინელი დევნა აუტეხეს ქრისტიანობას. საუკუნოდ სახსოვარი დარჩება ბარბაროსობა ნაეროზ ნოინისა, რომელმაც მუსირი გაავლი ქრისტიანებს, მრავალი ეკულესიის მსახური გაფლიტა, ეკ-

29) Addit. et éclaircis. p. 445.

30) ვახუშტი, გვ. 256—257, სადაც ბ-ნ გაქრაძეს მალკოლმის ისტორიდამ შემოაჭვს ცნობები. მანდუ ყაენს ძრიელ უყვარდა ქრისტიანები და თითონაც კეთილი ქრისტიანი იყო, Addit. et éclaircis. p. 326.

კლესიები დაარღვია, სიწმინდენი შეუ-
რაცხვყო³¹). უეჭველია, რომ შინაურ-
მა უწესოებამ და გარეშე მტრის ულ-
მობელმა მოპყრობამ შეარყია საეკ-
კლესიო წეს-წყობილება, ზნეობით
დასცა უმრავლესობა სასულიერო წო-
დებისა და ბიწიერების გზაზედ დააყე-
ნა. ასეც უნდა მომხდარიყო, რად-
განაც ყველა გარემოება ხელს უწყობ-
და ამ გვარს მდგომარეობას: ჩვენი
წარსული ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ
როცა მეფობა დასუსტებულა და უწე-
სოებას დარჩენია ბურთი და მოე-
დანი, მაშინ სარწმუნოებაც შელა-
ხულა, სასულიერო წოდება უკეთუ-
რებასა და მზაკვრობას მისცემია,
საეკკლესიო კანონს ძალა და პატივი
აჰყრია. . მონგოლების ბატონობა
ხელს უწყობდა ამ გვარს მდგომარეო-
ბას და არა თუ მარტო სამოქალაქო
ცხოვრებაში, არამედ სასულიერო შიაც
უწესობა და უკულმართობა განხორ-
ციელდა.

³¹⁾ H. de la G. p. 617 n°.

საზოგადოდ ასეთს მდგომარეობა—
ში იმყოფებოდა საქართველო მონ-
გოლების დროს. კერძოდ ეს მდგო-
მარეობა უფრო მძიმე და სამწუხარო
შეიქმნა მაშინ, როცა განვებამ გი-
ორგი მეხუთე მოუვლინა სამშობლოს.
დიდი და დაუვიწყარი ღვაწლი მიუ-
ძლვის დიდებულს მეფეს ამ სამშო-
ბლოს წინაშე. თუმცა დიდია იგი ღვა-
წლი, მაგრამ მოკლედაც გამოითქმია;
ბრწყინვალე მეფემ შემუსრა. მტრის
ბატონობა და ორ სამეფოდ გაყოფი-
ლი საქართველო შეაერთა; ძევლნი
მოხარკენი დაიპყრა, სამეფო დროშას
უწინდებური დიდება მიანიჭა; შინა-
ური მტრები დაამშვიდა და დაიმორ-
ჩილა; სჯული და სამოქალაქო წეს-
ნი აღადგინა,— „განააწლნა წესნი სა-
ეკულესიონი, განმართნა და დაადგინა
მოწესენი წესსა ზედა თვასსა და უწე-
სონი გაჰკვეთნა“ ³²⁾; ერთის სიტყვით,
გარეთ თუ შინ, ძლიერებითა თუ გო-

³²⁾ ქ.-ც-ბა, გვ. 450.

ნიერებით, მეფემ დიდი გალი დასდო
სამშობლოს უნებლივდ გსურს შე-
იტყო ცხოვრება და ღვაწლი ამ დიდ-
ბუნებოვანის მეფისა და ჩვენც ეს
სურვილი მკითხველებისა შეძლებისა—
და გვარად უნდა ავასრულოთ.

VII

სამწუხაროზ, მეფის ცხოვრების აღ-
საწერად ცოტა მასალა-ლა დარჩა.
ისტორიასა და ჩვენს ბედს თითქო და-
ცინვა ჰსურდაო,—მატიანეში შენახუ-
ლია არა ერთისა და ორის ქონდრის
კაცისა და კაცუნა მეფის ცხოვრება,
და გიორგი მეხუთისა-კი არა!.. მისი
ცხოვრება სადღაც დაიკარგა. მზო-
ლოდ ვახუშტიმა აქა-იქ დიდის შრო-
მით შეჰქრიბა ცნობანი და გადმოვვ-
ცა მეფის ცხოვრება, ისიც მცირედ,
მოკლედ³³⁾). ამ ცნობებს „შემატება“
ეწოდება და, როგორც მკითხველსაც

33) ... „რაიცა მაღ გვედვას, შეცირედ
ვიტულდეთ“... ასე იწყებს ვახუშტი თავისა
„შემატებას“, თითქო ვინმე დაემდურებოდა,
რომ გრძლად ეამბნა მეფის ცხოვრება!..

მოეხსენება, მატიანეშია ჩართული. სა-
კუთხად „ქართლის ცხოვრებაში“ გი-
ორგი მეხუთეზედ თითო - ოროლა
ცნობა თუ მოიპოვება და ისიც არე-
ულ-დარეული, ბეჭდად მოხსენებული,
როგორც ამას თვით ვახუშტიც ამ-
ბობს მაგრამ რაც-კი დაგვრჩა, ასიც
საკმაოდ გვიწატავს ბრწყინვალე მეფის
დიადს სურათს.

რჩვეულსა და ზეგარდამო ნიჭით
ცხებულს კაცს მშობლები შესაფერ-
ნი ჰყავს ხოლმე. გიორგი მეხუთეც
სახელოვანის მამის შეილი იყო. იმისი
მამა დიმიტრი II თავდადებული ცნო-
ბილია ჩვენს ისტორიაში როგორც
ერთი საუკეთესო მეფეთაგანი. მაგრამ
ბევრ კარგ ლირსებასთან დიმიტრი
თავდადებულს ერთი წუნიც ედო, ერ-
თი ნაკლიცა ჰქონდა: ყმაწვილობისას
მშვენიერი სქესი გადაჭარბებით უყ-
ვარდა... თუმცა საქართველოში ქა-
ლის სიტურფე და სილამაზე უნებ-
ლიელ იმონავებს კაცის გულს, მაგ-
რამ მეფეს მაინც ცოდვად სდებლნენ-

შექალთანობას. ეს ჩვენთვის სულ ერთია, აქ საყურადღებო უფრო ისაა, რომ დიმიტრი თავდადებულს თითქო ჩამომავლობით ნაანდერძევი პეტრ და არშიყობა და სიძვაო... მაგალითებრ, არც თავდაჯებულის მამა, მეფე დავით V, იყო „წმინდა წყლის“ კაცი, არც იგი არიდებდა პირს კეცლუცა და ნარნარს სატრფოს. იმან რამდენჯერმე შეირთო ცოლი და როცა ჭანონიერ მეუღლესთან შვილი არ მიეცა, ოსის ქალი ალთუნი მოიყვანა—შვილი მომეცესო. შვილი ეყოლა, მაგრამ ალთუნი-კი სასახლედამ დაითხოვეს. დიმიტრის პაპა, ლაშა გიორგი, ხომ განთქმულია სიძვით. ვინ არ იცის, რომ ქვეყნიურს ცოდვას იმან ვაჟკაცობაც მსხვერპლად შეწირა, — მოგეხსენებათ, რომ სწორედ ქალის გულისათვის გამოსთხარეს ლაშას თვალი... რაც უნდა იყოს, აქ მხოლოდ ის უნდა შევრიშნოთ, რომ დიმიტრი თავდადებულიც მამა-პაპის კვალზედ წავიდა და ერთსა და იმავე

დროს სამი ცოლი დაისვა. არ ვიცით
სახელად რა ერქვა პირველს, კანო-
ნიერს ცოლს, თუმცა-კი სჩანს, რომ იგი
საბერძნეთის მეფის ასული იყო³⁴⁾). მხო-
ლოდ ამ კანონიერს ცოლს ეწოდე-
ბოდა დედოფალი. დიდის კომჩენის
ასულმა მეფე უხვად დასაჩუქრა, — დე-
დოფალს ოთხი ვაჟი მიეცა: დავით, ვახ-
ტანგ, ლაშა და მანოელ. ამ ოთხს ძმას
ერთი დაც ჰყეანდათ — რუსულანი. რა-
საკვირველია, ამდენი შეიღლი სრუ-
ლიად საკმარი იყო როგორც გვიჩ-
ვინოსანის მამისათვის, ისე სა-
მეფო ტახტისათვისაც, მაგრამ მეფემ
არ იკმარა და მეორე ცოლად ვიღაც
თათრის ქალი¹ მოიყვანა, სახელად
სორლალა. ცნობა არ დარჩენილა —
ვინ იყო ეს სორლალა, მხოლოდ ის-კი
სჩანს, რომ იმას ორი ვაჟი შეიღლი-
ეყოლა: ბაალურ და იადვარ და ერ-
თო ქალი — ჯიგდახათუნ. არც ბაა-

34) უფრო მეფის ვიზ გორგი დიდის კომ-
ნენისა, H. de la G. p. 591, n¹.

დურსა და არც იადგარს ტახტზედ ასვ-
ლა არ ჰლირსებია; იმათი მოქმედებაც
თითქო დაჩრდილულია, თვით იგი-
ნი თითქო ფარულად საცხოვრებენო
და მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებით
ამ ორს ძმასა და ისიც მეტად იშვია-
თად... სულ სხვა ბეჭისა და იღბლი-
სა იყო მესამე ცოლი, სახელ-განთ-
ქმულის სამწის სპასალარის ბეჭას
ასული, ნათელა. ქართველთა დედა-
თა შორის ნათელას შართლაც-და
ციური ნათელი დაედგა — ამ ნათე-
ლამ უშობა დიმიტრი თავდადებულს
გიორგი... „რომელი მარტო ეშვა
დედასა, ვითარცა მარტო რქა“...

როცა დიმიტრი თავ - დადებული
იძულებული შეიქმნა არღუნ ყაენს
ჰელებოდა ურდოში, მეფეს თითქო
გულმა-უგრძნო — ცოცხალი აღარ დავ-
ბრუნდებიო და ამიტომ საჭირო გან-
კარგულება შოთარდინა ღვახახში, თი-
თოვეულს ცოლ-შვილს საზრდო და სა-
ყოფელი დაუნიშნა. ზოგნი კახეთს
გაგზავნა საცხოვრებლად და ზოგნი

კიდევ მთიულეთს შეაფარა, ხოლო
ყრმა გიორგი ტაოს წარავლინა, იშ-
ხნის ციხეში. ვინ იცის, იქნება შვეუ-
ნისათვის თავდადებული მამა წინაღ-
ვე ატყობდა რა მომავალიც მოელო-
და იმის ნორჩის შეილს და ამიტომაც
ასე უფროთხილდებოდა.... როგორც
თქვენც გეცოდინებათ, არღუნ ყაენმა
დიმიტრის. შესწამა ჩემ წინააღმდეგ
შეთქმულებაში ერიეო და ურდოში
მისვლის უმალევე მოაკველევინა. გან-
რისხებული ყაენი მეფის გვამსაც-კი-
არ იძლეოდა, მაგრამ მცველნი მო-
ისყიდეს და დიდის გაჭირებით ეს
გვამი მეთევზების ურმით ჩუმად მოა-
სვენეს საქართველოში და მცხეთას-
დაასაფლავეს. სიკვდილმა თავ-ზარი
დასცა მეფის სასახლეს, მთელი მისი
სახლობა შიშისა და ელდას მიეცა.
შეიტყეს თუ არა საშინელი ამბავი,
წამებულის მეფის ცოლ-შვილი აქეთ-
იქით გაიბნა, —დედოფალი სკორეთი
დაიმალა, სორლალამ თავისის შეილე-
ბით სამშობლოში გასწია. რასაკვირ-

ველია, ნათელასაც სიფრთხილე ჰმარ-
თებდა და ისიც სამცხეს წავიდა მა-
მასთან. მეფის სრა-სასახლე დაცა-
ლიერდა და თეით სამეფოც ცოტა
ხნობით უმეფოდ დარჩა... ამ დრო-
იდგან გიორგი პაპას სახლში იმყო-
ფებოდა და თითონ ბექამ. აღზარდა
ეს ბეღნიერი ყრმა ³⁶). დიდხანს აღარა-
ისმის რა ყრმისა, პაპის სახლის გარედ
მას ველარ ვხედავთ და, სამწუხაროდ,
არ ვიცით რა ყოფასა და მდგომარე-
ობაში გაატარა მან პირველი სიყრ-
მე...

აგრეთვე არაა მოხსენებული, თუ
როგორ აღიზარდა მეფე გიორგი V,
თუმცა-კი შეიძლება ვითიქროთ, რომ
მეფეს დროს შესაფერად საუკეთესო
აღზრდა უნდა მიეღო. ამ აზრს ჩვენ
ბექას ცხოვრებასა და ხასიათზედ ვაფუძ-
ნებთ. ბექა, მანდატურთ - უხუცესად
ცნობილი, იმ დროს ქრიელ გავლე-
ნიანი და შესანიშნავი კაცი იყო. მისი

სამთავრო დიდს ადგილს შეიცავდა, ტასის კარიღვან სპერამდე (ჭოროხის ხეობა) და ზღვამდე, აღმოსავლეთით კარნუ ქალაქამდე (აჩზრუმი). როცა საბერძნეთის მეფემ ალექსი II ბექას ასული შეირთო, მაშინ სიძემ თავისს სიმამრს მოსცა მთელის ტრაპიზონის აქეთ მხარე ჭანეთითურთ³⁶⁾). ციხის ჯვარელ ჯაყელნი — ეს იყო სამცხის მთავართა გვარი — სულ პირველადვე განთქმულნი იყვნენ მხნეობითა და გამჭრიანობით. მონგოლების დროს ხოშუფრო მეტად ისახელეს თავი და საქართველოში პატივიც დიდი მოიხვეჭეს. ბექას მამა, სარგის ჯაყელი, თავის დროს პირველ სარდლად ითვლებოდა, მთელს სამეფოსა და საყენოში გაითქვა ვაჟკაცობითა და სამხედრო ნიჭიერებით, ყაენის სიყვარული მოიპოვა და სამთავროსაც დიდი აღვილები შეჰმატა, შეილმა მა-

³⁶⁾ H. de la G. II par, liv. I, p. 205.

მას აჯობა და ბექა I-ს მთელს სა-
ქართველოში სწორი და ტოლი არა
ჰყავდა. ივი შესანიშნავია როგორც
სარდალი და გამჭრიახე სახელმწიფო
კაცი. დაუვიწყარი ლვაწლი მიუძღვის
სამშობლოს წინაშე ამ საკუირველს
კაცს, მან სძლია და შემუსრა საში-
ნელი მტერი, რომელიც ჰლამიდა
საქართველოს აოხრებას. მეცამეტე
საუკუნის დამლევს აზატ-მოსე, ანუ,
ბროსეს აზრით, მუსა-ხანი³⁷⁾) სამოც-
და-ათის ათასის თურქით შემოესია
ტაოს-კლარჯეთსა და აპირებდა ქართ-
ველობა აღეგავა მიწის ზურგიდგან.
მხნე და მტკიცე ბექა წინ დაუდგა
მძლავრსა და მძვინვარე მტერს, რამ-
დენჯერმე დაამარცხა იგი და ბოლოს
სრულიად განდევნა თავის სამთავ-
როდამ. სამცხის შთავარმა ბაიბურ-

³⁷⁾ H. de la Géor. p. 626, n^o. ქ.-ც-
ხა, გვ. 437—440, სადაც ნაამბობია აზატ-
მოსეს შემოსევა და მისი გაქევება სამცხე-
კლარჯეთიდგან.

თამდე გასწია თავის სამფლობელოს
საზღვრები. ყველა თავს იხრიდა ბე-
ქას წინაშე, ყველა მეზობელს შიში-
თა და კრძალვით მიჰქონდა ხარჯი
მანდატურთ - უხუცესის სალაროში.
ბექაც განდიდდა, მალლა და ამაყალ
ეჭირა თავი, არწივებრ მაღლიდამ
დასკეროდა მარტო ქართლის მეფეს-
კი არა, თვით ყაენსაც-კი. საყურად-
ღებოა, რომ თვით საქართველოს ბა-
ტონის ბრძანებაც-კი ხშირად არაფ-
რად მიაჩნდა ამ ბედნიერს მთავარს
და ეს მაშინ, როცა ქართლ-იმერე-
თის მეფენი და დიდებულნი მარტო
ყაენს-ლა შესკეროდნენ თვალ-წარბ-
ში!.. იმ შავ'ა და ბნელს დროს მხო-
ლოდ სამცხეში შეეძლო კაცს სუ-
ლითა და გულით აღფრთოვანებუ-
ლიყო; მხოლოდ იქ მოიპოვებოდა
თავისუფლება, ერის თავ მოყვარეობა,
და ყველა ეს ხომ ასე საჭიროა სა-
ხელმწიფო მოღვაწის საწვრთვნელად,
სავარჯიშოდ... ახლა წარმოიდგინეთ,
რომ ბედმა და ილბალმა დიდბუნე-

ბოვანი ყრმა თითქო განგებ ამ სამ-
თავროში შეაფარა, — ლალსა და თავ-
მომწონე ქვეყანას იმყოფებოდე და
თავისუფლების ძუძუთი იზრდებო-
დეო... მართლაც და, ყველაფერი,
რასაც კი ყრმის გონება და თვალი
მისწვდება, ხელს უწყობდა მომავალს
მეფეს, სამშობლოს პატივი და დი-
დება ღრმად ჩაენერგა გულში, მძიმე
სახელმწიფო სკიპტრა ღირსეულად
ხელთ დაეპყრა... გარშემო აყვავე-
ბული და თავისუფალი სამთავრო,
თვალწინ პაპას სახელოვანი ცხო-
ვრება, თითონ სახლში კიდევ სა-
მაგალითო ოჯახობა — განა ყველა ეს
საუკეთო სკოლა არ არის?!.

კერძო ცხოვრებაშიაც ბეჭა ხასია-
თითა და თვისებით აღემატებოდა ყვე-
ლა თანამედროვე მთავარს, მრავალ
გვარ ღირსებით იყო სრული და აღ-
სავსე, — „კაცი წარმატებული ყოველ-
სა შინა, სიკეთე აღმატებული სალ-
თო საკაცობოთა საქმეთა“... იმ ღროს
აღზრდა და განათლება თხოულობ-

და, დიღის ოჯახის შეილი ყოფილი-
ყო ნამდვილი ქრისტიანე, საღმთოს
მცოდნე და მერე მეომარი. სასული-
ერო-სამხედრო მიმართულება ჰსულევ-
და საოჯახო სკოლაში, და როგორ
იყო აღზრუილი თვით ბეჭა? — იგი
გულწრფელი ქრისტიანია, რომელიც
წირვა-ლოცვას არ აკლდება; უყვარს
ეკკლესიებისა და მონასტრების ავება,
გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა პატრი-
ნი და მფარველია... მაგრამ მარტო
ეს ხომ არა კმაროდა. ბეჭაშ ჯეროვა-
ნი სამხედრო სწავლაც მიიღო: „იგი
ომსა შინა მხნედ ბრძოლია, ცხენსა
ზედა მხნედ მოისარი, ნაღირთა ხე-
ლოვანი“... დაუმატეთ ამას ისიც,
რომ მანდატურთ-უხუცესს ძრიელ
უყვარდა სჯული და სამართალი, „სა-
მართლის მოქმედი“ იყო; არ დაი-
ვიწყოთ, რომ ეს სახელმწიფო კაცი
გამჭრიახე და შორს-მჭვრეტელია,
„გონებით ფრთხილია“ და თქვენ წარ-
მოიდგენთ მკრთლად მაინც მთავრის
დიადს სურათს³⁸⁾). უნდა გახსოვდეთ

აგრეთვე, რომ ამ ლირსეულს მთავარს
ლირსეული ცოლიც აგვირგვინებდა,—
ბეჭას მეულლე ვახახი სამაგალითო და
შესანიშნავი დედაკაცია... ასეთი პაპა
და ბებია დასტრიკალებდნენ თავს
სახელოვანს ყრმას და ასეთს ოჯახ-
ში იზრდებოდა. არ ვიცით როგორი
დედაკაცია ნათელა, რა ზნისა და
ხასიათისაა, მაგრამ ეს არც საჭიროა,
რაღანაც იმისი შეიღლი გიორგი პა-
პასა და ბებიას ხელში უფრო იზრდე-
ბოდა...

რასაკვირველია, სხვა საბუთების
უქონლობის გამო, მარტო ისტორი-
ულს სინტეზს ვერ ვენდობით და გა-
დაჭრით ვერ ვიტყვით, რა სწავლა და
მიმართულება შეიძინა გიორგიმ პა-
პის სახლში. მაგრამ ის-კი უტყუარია,
რომ მას ბევრი თვისება და ხასიათი
გამოჰყება თავისის პაპისა. აბა კარგად
ჩაუკვირდით მეფის სულსა და გულს,
თუ დიდი მსგავსება არა ჰპოვოთ: მე-
ფეც ლვის-ბასავი და ლრმად მორ-
წმუნე ქრისტიანია, „ომსა შინა მხნედ

ბრძოლია“, „გონებითა ფრთხილი“, „სამართლის მომქმედი“ და სხ. ეს „სამართლის მომქმედობა“ წომ ბეჭას ოჯახის საკუთრება შეიქმნა. ამ ოჯახში განუწყვეტლივ არსებობდა სჯულისა და კანონის სიყვარული, იგი ოჯახი თითქო იურიდიულ სკოლად გარდაიქცა... შემდეგ, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ბეჭა მეორემ და აღბუღამ მთელი სამართლის წიგნი დაუტოვეს სამშობლოს. გიორგი მეფესაც „სამართლის მოქმედება“ დასჩემდა და, ვინ იცის, იქნება „ძეგლის დების“ ავტორი პაპის სახლშიაც სწავლობდა კანონ-მდებლობას... დიალ, ბევრი რამე საერთო მოიპოვება ბეჭასა და გიორგი ბრწყინვალეს შორის!..

VIII

ვინ იცის, საკმაოდ და ჯეროვანად გაწვრთნილი იყო თუ არა ბეჭას შეგირდი სახელმწიფო სამსახურისათვის, მაგრამ გარემოებამ ძლიერ მალე-კი გამოიყვანა იგი ასპარეზზედ: სულ

ცამეტ თოთხმეტის წლისა ძლიერ იქნებოდა, როცა 1299 წ. ყაენმა მეფობა მიანიჭა გიორგის ³⁹⁾). ცელქმა ბედ-ს-წერამ პატაწინა მეფეს სახელმწიფო პატია არგუნა წილად, — ყაზან ყაენმა ყრმა გიორგის სამეფო მარტო ერთი სატახტო ქალაქი ტფილისი მისცა და სხვა არაფერი... საჭიროა ვიცოდეთ, რა გარემოებამ გამოიწვია. ამ პატია სამეფოს დაარსება. იმ დროს ქართლის მეფედ დავით მეექვსე ითვლებოდა, გიორგის უფროსი ძმა, დიალ, საუბედურო იყო იგი დრო, მაგრამ გარემოებამაც თითქო განგებ და განზრახ მოუვლინა მრავალ ტანჯულს საქართველოს «კაცი ურწმუნო და უშიში ღვთისა», როგორც მეფე დავითია. მართლაც და, მონგოლების დროს არც ერთს მეფეს იმოდენა ვნება და ტანჯვა არ მიუყენებია წამებულ სამშობლოსათვის, რამოდენაც მიაყენა უნიჭო და

³⁹⁾) Hist. de la G. p. 622 n¹.

უხასიათო დავითმა. სამწუხარო კი-
დევ ისაა, რომ მეფეს მარჯვე დრო
ჰქონდა, გარემოება მეტად ხელს უწ.
ყობდა ვაება და მწუხარება არცილე-
ბინა საქართველოსათვის, მაგრამ იმან
უფრო გაუძლიერა. საქმე იმაშია, რომ
ყაენები და ნოინები ერთმანეთის წი-
ნააღმდევ აიშალნენ, მათ შორის შუ-
ლლი ჩამოვარდა, ბრძოლა ასტყდა.
ხეარასნის ყაენმა ყაზანმა საკუთარი
დროშა ამართა, ხაყანის უფლება უარ-
ჰყო, ყარაყურუმს ზურგი შეაქცია და
სხვა საყენოებსაც მტრულად დაუწყო
ცქერა. ყაზან ყაენი დავითს მეფეს
მორჩილებას სთხოვდა და სხვა არა-
ფერს, — არა ერთხელ და ორჯელ შე-
უთვალა, მორჩილება მიჩვენე და მე-
რე მე ვიციო... ცოტად მაინც გაგე-
ბული და გამჭრიანი მეფე, უეჭველია,
ორში ერთს იზავდა: ან იახლებოდა
ძლიერს ყაენს, თუ არა და, მტრო-
ბას მაინც არ გაუწევდა. სულ სხვა-
ფრივ მოიქცა დავითი: ჯერ ერთი
ესა, რომ დიმიტრი თავდადებულის

შეიღო შიშისაგან ცახცახებდა, როცა
 ურდოში წასვლას გაუცხადებდნენ—
 მამასავით მეც არ მომკლანო... მაგ-
 რამ ამას ვინ-ლა სჩივის, სავალალო
 ისაა, რომ ეშიშარა მეფე თავისის
 ლაშქრით მთიულეთში დაიმალა და
 იქიდამ ჩრდილოეთის ყაენს ოთახას
 მოციქულებს უგზავნიდა და აქეზებდა
 დარიალას გაგიღებ, ოლონდაც ყაზან
 ყაენზედ გამოილაშქრეო... რასაკვირ-
 ველია, ყაზანს ესა სწყინდა, მაგრამ
 პირველ ხანს თითქო ებრალებოდა
 საცოდავი მეფე,—ყველაფერს გაპა-
 ტივებ, მხოლოდ მორჩილი იყავიო.
 მაგრამ დავითი არ დასცხრა. ბოლოს
 ყაზან ყაენიც მოთმინებიდგან გამო-
 ვიდა, განრისხდა და დიდის ლაშქრით
 გამოგზავნა საქართველოში თავისი
 სახელოვანი მხედართ-მთავარი ხუტ-
 ლუშა. პირველსავე შემოსევაზედ ხუტ-
 ლუშამ საშინლად ააოხრა შიდა ქარ-
 თლი და მთიულეთის ნაპირა ადგი-
 ლები. დავით, რასაკვირველია, შიში-
 საგან ველად ვერ გამოვიდა, ქსნის

ხეობის თავში მიიმალა და თავისებუ-
რად ცოდილობდა, ვითომ საქმეს
რასმე ვარიგებო: ჯერ გამარჯვებულს
ხუტლუშას ათათბირებდა ყაენს ვიან-
ლებიო და მერე კიდევ ოთაბასთან
მოციქულების გზავნას არიშლილა, ძა-
ლა-უნებურად გეცინება და სწუხარ კი-
დეც, როცა თვალს ადევნებ ამ გზა-
კვალ არეულის მეფის მოქმედებას...

„გონებით ფრთხილი“ ბექა სხვა-
ფრივ მოიქცა. მას უხვად ჰქონდა მი-
მადლებული სახელმწიურ კაცის ნიჭი
და მაშინვე მიხვდა, თუ რა სახეირო
და საკეთილო იქმნებოდა სამშობლო-
სათვის ყაენების არევ-დარევა, ერთ-
მანეთის შორის მტრობა და შულლი.
იმან ჰირველადვე მეგობრული ხელი
გაუწვდინა ყაზანს, სათნოიანად გა-
ნეწყო და მხარი მისცა. მართალია,
ბექაც, როგორც საქართველოს სხვა
მთავარ ერისთავნი, ყაენს ემორჩილე-
ბოდა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც,
მაგრამ იმ გაჭირებულ დროს სამცხის
ბატონს შეეძლო დიდი მტრობა გაეწია-

ყაზანისათვის, მაგრამ არ გაუწია, — ეს
სავნებელი იქნებოდა მთლად საქარ-
თველოსათვის. ყაზან ყაენსაც ხათრი
და პატივი ჰქონდა ბეჭასი. ამიტომაც,
როცა დავითი თავისის ვიწრო ჭკუით
«პოლიტიკოსობდა» ქსნის ვიწრო ხე-
ობაში, ყაზანმა ბეჭას მოსთხოვა გი-
ორგი გამომიგზავნეო . უეჭველია,
რომ გაუგზავნეს. აი სწორედ მაშინ
დაბძანდა სამეფო ტახტზედ გვირგვი-
ნოსანი ყრმა.

გიორგიმ იმ ერთად მხოლოდ ორი
წელიწადი იმეფა და ამ მოკლე ხან-
ში სამშობლოს უბედურების მეტი
არა უნახავს-რა. საბაზი ისევ დავითი
იყო. იგი ურჩობასა და ყაენის ღა-
ლატზე ხელს არ იღებდა. ჯიბრით
მონგოლებმა ორჯელ კიდევ დასწვეს
და დასდაგეს უიმისობრაც დარბეული
და აოხრებული. ქართლი. სისხლის
ნიაღვარი ერთოდა. მღელვარე ქსან-
არაგვეს. მართალია, ხუტლუშა დი-
დად შესცდა, როცა მთაში შევიდა
და იქ ჰსურდა შეემუსრა დაუდეგარი

მეფე, მართალია, ჩვენმა მთიულებმა დაამარცხეს თავხედი და უშიშარი ნო ინი, მაგრამ უფრო ცუდი, რომ ძლეული ხუტლუშა გულის ჯავრს ქართლზედ იყრიდა. საშინელი ტანჯვა და ვაება დაადგა ქართლს. ვინც მოჰკლეს და გადასწვეს, ხომ კარგი — და. ვინ არ მოჰკლეს იმ შავსა და ბნელს დროს? — უბედურება კიდევ ის იყო, რომ აუარებელი ტყვე წაიყვანეს. გვირგვინოსანი ყრჩა თავის თვალით ჰქედავდა სამშობლოს ასეთს ყოფას და, ვინ იცის, რა მწარე აზრი უშფოთებდა სულსა, რა სევდა და ნალველი უსიებდა ნორჩს გულს!..

ყაენს ვინც ეპრიანებოდა, მეფობაც ხომ იმისი იყო. ამიტომ დავითის ძმა ვახტანგ ურდოში ეახლა ყაზანს, სალაში მიართვა, მუხლ-მოდრეკით ერთგულება განუცხადა და ამაზედ მეტი ხომ საჭირო არა იყო-რა: ტახტი და მეფობა ვახტანგ მესამეს დაულოცეს. ყრჩა მეფებს სრულ-წლოვანს მეფეს დაუთმო ადგილი. გიორგი პაპასთან

წავიდა. იგი ისევ ბექას სახლშია, ისევ
ლალსა და ბეღნიერს სამცხეში იმყო-
ფება, მაგრამ რას აკეთებს, რას ჰუკ-
რობს, რას აპირებს?.. ყველაფერ ამაზედ
აღარა ისმის-რა... ეს ბნელის წყვდი-
ადით მოცული დრო ეგრედ წო-
დებულის სამ-მეფობის დროა. მაგრამ
ვახტანგი მალე მოკვდა, მუცელამ
თან გადიტანა — საკვირველია, რომ
მონგოლების დროს ბევრი ჩვენი მე-
ფე გადაჰყეა მუცელას — და ვახტანგის
ადგილას დავითის შვილი დაჯდა. ყა-
ენს უნდოდა დავითი დამცრალიყო
და ამიტომ იმის შვილს გიორგის მის-
ცა მეფობა. გიორგი ჯერ ისევ ბავშ-
ვი იყო, აბა მეფობისა რა გაეგებო-
და და ან როგორ გაუძლვებოდა ამ
დიდს მოვალეობას. ამის გამო ბავშვს
გიორგის ყომა გიორგი მეფე დაუნიშ-
ნეს შზრდელად, «საქმის მოურავად»;
ქვეყანა და სამეფო ორ გიორგის ჩა-
ბარეს, ერთი მათგანი მეფედ ირიც-
ხებოდა, მეორე „საქმის მოურავად“,
მმართველად⁴⁰⁾) თქვენ უნებლიერ ლი-

⁴⁰⁾ ეს მოხდა 1308 წ. დავითის შვილი

მილი მოგდით, როცა ამ პოლიტიკურს მასხრობას უცექერით, მაგრამ ჩვენი რა ბრალია—მთლად მონგოლებისაგან დაარსებული სახელმწიფო წეს-წყობილება სასაცილო იყო დასხვა არაფერი. აქ საჭიროება შეარტო იმას თხოულობდა, რომ მალე მაინც გათავებულიყო ეს პოლიტიკური ფარსი. გათავდა კიდევ.

მალე ულჯათ ყაენს. (მაშინ ყაზან ყაენი ცოცხალი აღარ იყო) ლაშქრობა დასჭირდა ულჯათს მხედართა მთავრად ჩოფან ნოინი ჰყავდა და ეს ჩოფანი კიდევ დიდი მოწყალე და მფარველი იყო გიორგი ბრწყინვალისა. ყაენმა ჩოფანი მცირე აზია-

გიორგი წოდებულია გიორგი მცირე და ეგრეთვე გიორგი VI. სახელი მეფისა მან ათი წელიწადი ატარა. ბროსსეს ვარაუდით, იგი უნდა დაბადებულიყო 1308 წ., ე. ი. იმავე წელს, რა წელსაც მეფობა უბოძეს. გიორგი ბრწყინვალე-კი იმ დროს 18 წლისა იყო. იგი დაიბადა 1286 წ. Hist. de la G. p. 640, n^o.

ში გავზავნა, სხვათა შორის, დიდის
ქალაქის იკონის დასამშვიდებლად,
რომელიც ულჯათს განუდგა 41). ნო-
ინს, რასაკვირველია, ქართველებიც
გააყოლეს სალაშქროდ და გიორგი
ბრწყინვალე თან გაატანეს. გიორგი
მაშინ ახლად შეღერებული ვაჟკაცი
იყო, ოცის წლისაზედ ცოტა მეტი.
შექას სკოლაში გაწვრთვნილმა გი-
ორგიმ მალე ისახელა თავი ბრძო-
ლის ველზედ, მალე გამოიჩინა სამ-
ხედრო ნიჭი, — „მხნედ ბრძოლად გა-
მოჩნდეს მეფე გიორგი“, ამბობს მა-
ტიანე იქ, იკონის გარემოს, პირვე-
ლად სისხლით ცხებულ იქმნა ეს
საკუირველი მეომარი და იქ დროი-
დამ მისი დაუღალავი მკლავი სულ
მახვილს სცემდა გარეულსა და შინა-
ურს მტერს. ულჯათიც მალე მოკვდა
და მცირე წლოვანი მემკვიდრე, სახე-
ლად მუსაითი, დასტოვა. საყენოს
გამგეობა მთლად ჩოტანმა ხელთ იგ-

41) ibid. p. 642, n^o. ეს მოხდა 1315 წ.

დო, რადვანაც ჯერ ისევ ბავშვეს მუ-
საითს ყევნობისა არა გაეგებოდა-რა.
ეხლა-კი გიორგისაც ბედმა გაულიმა.
ის მაშინვე ურდოში წავიდა და მო-
წყალე ჩოფანმა დიდის წყალობით
მიიღო, — „მოსცა ყოველი საქართვე-
ლო“. ეს ამბავი მოხდა 1318 წ. და
ამ დროიდამ მეფესაც მეფური პატივი
და დიდება დაეტყო.

IX

თუმცა გიორგის „მისცეს ყოველი
საქართველო და ყოველნი მთავარნი
საქართველოსანი“, მაგრამ მიცემა
და ხელთ დაპყრობა ერთსა და იმა-
ვეს არა ჰნიშნავდა. ჯერ საჭირო იყო
სამეფოს შეკრება, მისი ნაწილების
შეერთება და მერე კიდევ „ყოველის
საქართველოს“ დამორჩილება. ყვე-
ლაფერი ეს ხომ დიდს შრომასა და
ძალას თხოულობდა. არ უნდა და-
ვივიწყოთ, რომ იმ დროს თითოეუ-
ლი თემი და სამთავრო საკუთარს
პაწია სახელმწიფოს წარმოადგენდა
(status in statu). ქართლი, კახე-

თი, ჰერეთი, მესხეთი და სკ. განცალკევებულნი იყვნენ, მათ საზოგადო ძალა არ აერთებდა, არ აკავშირებდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთელი საქართველო ორ დიდ ნაწილად, ორ სამეფოდ იყო გაყოფილი და ხშირად ტფილისი და ქუთაისი ქიშპობლნენ, კამათობდნენ. მხოლოდ ძლიერსა და ღონიერს მარჯვენას შეეძლო ამიერთა და იმიერთ შეერთება და სხვა-და-სხვა თემის თავის მოყრა ერთს სკიპტრას ქვეშ. უწინდებურის სამეფოს აღდგენა მთელის მისის სიგრძე-სიგანით უფრო იმითი იყო კიდევ საძნელო, რომ ზოგიერთნი თემნი სრულიად მოსწყდნენ საქართველოს და გარდა ამისა უცხოელნი მტერნი შიგ შუა საქართველოში ჩამოეთხსლნენ. მთიულნი, მაგ., და კერძოდ ფშაველნი, „ფხოელნი... კაცნი იგი მხეცის ბუნებიანი“ ჯერ ისევ თამარ მეფის დროს არ ემორჩილებოდნენ ტახტსა და ეხლა უფრო გალალდნენ, თავს გავიდნენ. გარდა ამი-

სა, რა-კი საქართველო დაბალი ღო-
ბე შეიქნა, ისეთი მტერ-მოყვარეც-კი,
როგორიც ოსეთი იყო, ამ ღობეზედ
გადადიოდა. ჩენმა დაუძლურებამა და
ერთობის დამხობამ ფრთხები შეასხა პა-
წია ოსეთის სამთავროსაც, გაათამამა.
ოსნი იქამდე გაკადნიერდნენ და ისე
წავიდნენ თავს, რომ შუაგულ ქართ-
ლში ფეხი გაიდგეს და ქ. გორი დაი-
ჭირეს. მეტადრე დაუცხრომლად მძინ-
ვარებდა მათი მთავარი ბაყათარ. ამ
მოუსვენარმა კაცმა მთლად დარ-
ბია ქართლ-თრიალეთი, მრავალი ცი-
ხე და დაბა-სოფელი დაიჭირა, დიდ-
იალი აზნაური დააწიოკა და მამა-პა-
პეულ ადგილიდამ სხვაგან გადაასახ-
ლა. საქართველოს და კერძოდ ქართ-
ლის თავმოყვარეობა ისე ღრმად შე-
ილახა, რომ ოსეთის მთავარნი ხან-
დახან თათბირობდნენ და ბჭობდნენ
კიდეც: ეს უნდა იყოს ქართლის მე-
ფე და არა სხვა ვინმეო¹³). აი სწო-

ჩედ ასეთი გარეგანი სახე და ფერი ედო საქართველოს, როცა ბრძენვინვალე გიორგი ტახტზედ აბძანდა. და რას წარმოადგენდა თვით შინაურობა?

არც აქ ვპოვებთ რასმე სანუგეშოს. დავით VI მოქმედებამ სრულიად სახე და ფერი შეუცვალა. შინაურს ცხოვრებას, მთლად დაასუსტა. ხუთს წელიწადს განუწყვეტლივ სისხლი სდიოდა ერს, — „სავსე თყვენენ უბანნი და ფოლორცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი და ხოფელნი მკედრებითა“ 43) ხენათესვა და მეურნეობა. შეჩერდა, აღარსად იყო, დიდი სიმშილობა გაჩნდა, პური და ხორავი. რომ არ იშოგებოდა, ფაჭირებული ხალხი უწმინდურს მძორსა სჭიდდა, ნადირის დამპალ ლეშით იკვებებოდა 43) და... მაგრამ კმია, — უნებლიერ თვალს მრიდებ ამ ჯოჯოხეთურს სურათს და მხოლოდ

43) ibid, გვ. 436—437.

წყევითა და კრულვით იხსენიებ და
ვით VI და ხუტლუშას! ნივთიერა-
დაც ხალხი ღონე მიხდილი იყო, პო-
ლიტიკური უძლურება ზედ დართო-
და ეკონომიურსა, ერთსა და მეორეს
თითქო ხელი გადაეხვიათ და შეუ-
ბრალებლად ჰლამიდნენ მ.იესპოთ ოდ-
ნავ მოძრავი მაჯა ცხოვრებისა...

ყოველს საზოგადო მოღვაწეს, რო-
მელსაც-კი თავისის სიცოცხლის კვა-
ლი აღუბეჭდია, საკუთარი მოსაზრე-
ბა და დედა-აზრი აქვს, თავისს პოლი-
ტიკურს სიმბოლოს სარწმუნოებისას
აღიარებს. გიორგი ბრწყინვალე უხ-
ვად იყო ცხებული სახელმწიფოებრი-
ვის ნიჭით, სახელმწიფო ასპარეზედ
მან შემომქმედებითი ძალა გამოიჩინა
და, რასაკვირველია, საკუთარი მი-
მართულებაც ჰქონდა, საკუთარს სის-
ტემას მისდევდა. ეს მიმართულება და
სისტემა ორის სიტყვით გამოითქმის:
ჯერ სიბრძნე-გონიერება და მერე მოქმედე-
ბა. მეფე გარემოებას აკვირდებოდა, ღროვების შესაფერად იქცეოდა. იმისი

გამჭრიახედა „ფრთხილი“ გონება მეტად
 მსწრაფლივ და მკვირცხლ სწვდებოდა
 დროსა და ჟამის ვითარებას და შეფე
 მკლავს მაშინ ამუშავებდა, როცა სამ-
 ჯობინო იყო, როცა საქმის ხელიდამ
 გაშვება არ შეიძლებოდა. ამ გამჭრია-
 ხობასა და სიფრთხილეზედ არის აშე-
 ნებული და დამყარებული მთელი მოლ-
 ვაწეობა გიორგი ბრწყინვალისა და,
 რასაკვირველია, სწორედ ასეთი გზა-
 კვალი იყო დროების შესაფერი .
 თავხედს პოლიტიკოსს, რომელიც
 სწორე ლარსა და წაზს მისდევს და
 ყურადღებას არ აქცევს გარემოებასა
 და ჟამთა ვითარებას, არ მოეწონება
 ეს გზა-კვალი, მაგრამ მეფის სისტემა
 რომ შესაფერი და სახეირო იყო,
 ეს ცხადია: ამას თვით საქმენი პლა-
 ლადებენ. სიბრძნისა და სიფრთხილის
 მიმყოლი მეფე ჯერ პატარა საქმეს
 შეუდგებოდა ხოლმე და მერე მძიმე-
 ზედ გადადიოდა, ჯერ ცოტა და მე-
 რე ბევერიო, — აი იმისის მოქმედების
 გეგმა. ამ გეგმაზედ აშენდა ის ტურ-

ფა და დიდი დარბაზი, რომელიც გა-
ჭიმული იყო შავ ზღვიდამ კასპიის
ზღვამდე და რომელსაც სახელად „ყო-
ველი საქართველო“ ეწოდება. ეს
დარბაზი მავრად იდგა ას ოც-და-ათის
წლის განმავლობაში და თუ შემდეგ-
ში დაიშალა, ამშენებლის ბრალი
არაა.

X

უწინარეს ყოვლისა მეფე სამთავ-
როების შეერთებას შეუდგა, ამით
დაიწყო სამეფოს აღშენება. რადგა-
ნაც თვით მონგოლებს ენატრებოდათ
საქართველოს დაქსაქსვა და პატარა თე-
მების თვით-მყოფელობაც მათი ხელთ
ქმნილება იყო, ამიტომ მეფეს სიფრ-
თხილე ჰმართებდა. თითოეულს მძლავ-
რსა და გავლენიანს მთავარს საკუ-
თარი პირადი დამოკიდებულება ჰქონ-
და ყაენთან, რომელსამე ნოინთან.
მთავრის განრისხება ყაენისა და ნო-
ინის უსიამოვნებას დაპატავდა, მე-
ფეს ხელს შეუშლიდა. ვიორგიც ამ
საქმეში სიბრძნითა და გონიერებით მო-

იქცა, — უფრო სატყვითა და მოხერ-
ხებით შემოიერთა სამთავრონი და
ძალა მხოლოდ მაშინ იხმარა, როცა
უიმისოდ არა გაკეთდებოდა-რა. ქარ-
თველ მთავართა გარდა, ნოინებიც
განაგებდნენ სხვა-და სხვა სათემოს და
რაღანაც მძლავრი ჩოფან-ნოინი მე-
ფეს სწყალობდა, რასაკვირველია, იმ
ნოინთა დამორჩილებაში თვით ჰშვე-
ლოდა. ნელ-ნელა შეჭრიბა გიორ-
გიმ თემნი და სამთავრონი: კახეთი,
ჰერეთი, სომხითი და სხ. და დაუ-
მორჩილა სამეფო სკიპტრიას. თვით
განდიდებული სამცხე - კლარჯეთიც
შეუერთდა საქათველოს და ეს მათ
უფრო, რომ მეფე იქ აღზრდილი იყო
და ბექას მემკვიდრენი ბიძის გაძლი-
ერებისა და დიდების წინააღმდეგნი
არ შეიქმნენ ⁽⁴⁾). მაგრამ ამ გვარ სა-

⁽⁴⁾ ... „გარნა რამეთუ იუგნენ ბიძის ძე-
ნიცა მეფე ისანი და ამისისა გაძლიერები-
სა მსურველნი“ ... და სხ. ქ-ც-ბა, გვ. 448.
ბროსე ჰეთიქრობს, რომ აქვთ ვითოშ დავით ნა-
რინის მემკვიდრენი და შოამოშავლობა იგუ-

მეფოს აღდგენა, „დანყრეულის ტაძ-
რის“ განახლება. ჯერ ჯერობით გა-
რეგანს მეხანიკურს დაკოწიწებას უფ-
რო მიაგვანდა, ვიდრე ისეთს შენო-
ბას, რომელიც შედუღებულის ქვით-
კირივით შეურყეველია. და პირველად-
ვე შეუძლებელიც იყო თუ არ მეხა-
ნიკური, სხვა შეერთება. ეს იმიტომ,
რომ მთავართა და ერისთავთა გამო-
ცვლა არ შოთერჩდებოდა, ყაენის საწყე-
ნი იქმნებოდა; ძალა-უნებურად მეფეს
თავ-თავის ადგილზე უნდა დაეტოვა
თითოეული მთავარი, თუმცა ეს უკა-
ნასკნელი სასიამოვნო არ ყოფილი-
ყო. ჯერ სულ პირველადვე, როცა
მონგოლების ბატონობა დაიწყო, მე-
ფეს ვერა შეეძლო-რა ურჩისა და

ლისხმება, H. de la G. p. 645. n¹, მაგ-
რამ ჩვენ გვგონია, რომ ბექას უვილებზეა
ლუპარაკი. სიტუა „ნიმის ძებიცა“ უბრალო
შეცდომაა გადამწერელისა. ამ გვარი შეცდო-
მები არა ერთხელ და ორჯელ შეგხვდებათ
„ძ.-ც.-ბაში“. გარდა ამისა ლოგიკურის აზრის
მიმდინარეობა ამტკიცებს ჩვენს განმარტებას.

უკეთურის მთავრის წინააღმდეგ და
დავით V, ლაშას შვილმა, „მთავარ-
ნი და ერისთავნი ვერ სცვალნის ში-
შისათვის ყაენისა“^{a)}). ეხლა ხომ
მთავრობა უფრო დამოუკიდებელ ძა-
ლად გარდაიქცა, ერისთავამ თვით-
არსებობა მოიპოვა და მხოლოდ ყა-
ენის უფლება სწამდა, სხვა არაფერი.
აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თვით
თამარ-მეფის დროს გაჩნდა და აღორ-
ძინდა საქართველოში მთავრობისა და
ერისთავის დაუმოუკიდებლობა, თვით-
არსებობა. იმ დროიდგან მთავარ-ერის-
თავის მემკვიდრეობაზედ მიმდინარეობ-
და, ერთსა და იმავე ოჯახში ტრია-
ლებდა და პირადი საკუთრება შეიქმ-
ნა. ბევრს უნიჭო და ყოვლად უვარ-
გისს მთავარ-ერისთავს ვპოვებთ და
მათი გამოცვლა არ შეიძლებოდა,
რადგანაც მემკვიდრეობის წინააღმდეგი
იქნებოდა!.. მონგოლებმაც ხელ-
უხლებლად დასტოვეს ეს წესი და

რატომაც არა, როცა სახეირო იყო!..
 მთავარ - ერისთავნიც განდიდნენ და
 მათი ძლიერება იქამდე მივიღა, რომ
 ქართლის ერისთავნი — სურამელი აჰ-
 მადა და იმისი შვილი ბევრა მეფის
 მაგივრობას სჩაღიოდნენ დავით VI
 დროს ⁴⁶). ქიშპობა და ერთურთ შო-
 რის შუღლი ხომ თითქო მათ ხელო-
 ბად გარდაიქცაო. მონგოლებსაც ეს
 მოსწონდათ, რადგანაც საქართველოს
 ციხე შიგნიდგან ტყდებოდა.

გიორგი ბრწყინვალე კარგად ჰე-
 დავდა ამ უბედურების მიზეზსა და
 ესმოდა კიდეც, რომ სამთავროების
 ცალიერი გარეგანი, მეხანიკური შეერ-
 თება არა ჰქმაროდა, საჭირო იყო
 თვით ძირიანად აღმოფხვრა სავნებე-
 ლის წესისა, მაგრამ დროებით ვერ
 გაჰქიდა მთავარ-ერისთავთა „ბურჯის“
 შემუსვრა, — „დიდებულნი და ერისთავ-
 ნი ვერ სცვალნა ჟამამდე რიდითა ყენი-
 სათა“... მართალიც არის, — ფრთხი-

ლი მეფე მარჯვე დროს ელოდა და
საბეჭოდ დროც მაღე დაუდგა. საქმე
ისაა, რომ საყენოში შფოთი და გან-
ხეთქილება ასტყდა. ნოინებმა მოჰკ-
ლეს მცირე-წლოვანი მუსაით ყაენი,
თვით მძლავრი ჩოფანი ყაენ აბუ-საი-
დის ბძანებით დაარჩეს 1327 წ. ქ.
ჰერათში და მონგოლთა სამთლობე-
ლო ექვს ნაწილად განიყო, ყაენის
ძალა შემცირდა⁴⁷⁾). ეხლა-კი შიში და
რიდი აღარავისი ჰქონდა და მეფეს
შეეძლო შეემუსრა მთავარ-ერისთავე-
ბის ძალა, ამოეწყვიტა და ამოეჟლი-
ტა ურჩი ფეოდალები, რომელთაც
ერთობა და სამეფოს აღორძინება არა

⁴⁷⁾ Hist. de la Géor. p. 646, n¹. ჩო-
ფანის მეოთხე შვილი შეიქ-მაჰუდი საქართვე-
ლოსი და სომხეთის გამგებელი იყო. ჯერ
ისევ 1336 წ. ჩვენს ლაშქარს ბრძოლაში მე-
თაურობდა მოჰკმედი, ულო ყაენის ჩამომავალ-
თაგანი. მაშასადამე, იმ დროსაც საქართველოს
ვასალური დამოკიდებულება ჰქონდა მონგო-
ლებთან და მხოლოდ შემდეგში განთავისუ-
ფლდა.

ჰსურდათ. საშინელი და შემაძრწუნებელი ღონისძიება იხმარა ღვთის მოსავმა მეფემ, მაგრამ რას იზამს კაცი, როცა საჭიროება და სამშობლოს სარგებლობა ბევრჯელ თვით ბოროტებასაც კეთილად ჰქმნის!.. მეფემ „დარბაზობად“ მოიწვია ცივის მთაზედ (ჰერეთი) მთლად მთავარნი და ერისთავნი, ვინ რა იცოდა მის ფარული განზრახვა და როცა დიდებულნი შეიკრიბნენ, „მოსწყვიტნა მუნურჩნი თვისნი“... რასაკვირველია, მეფემ მთავრობა და ერისთობა თავისს მორჩილებსა და ერთგულებს უბოძა.

XI

სულ სხვაფრივ მოექცა მეფე გარეშე მტერს — ოსებს. აქ შიშა და რიდს არ მიჰყებოდა, მით უფრო, რომ ისეთი სხვა საყენოს ეკუთვნოდა, სახელდობრ ჩრდილოეთისას. პირდაპირ ძალითა და მახვილით ოსების გაძევება ქართლის ყაენს აბა რად ეწყინებოდა და მეფეც არავის მოერიდა. რასაკვირველია, ოსების ძალ—მომრეო-

ბა მხოლოდ დროებითს უბედურებას
 შეადგენდა და იმის მოსასპობლად მე-
 ფეს დიდი ჯაფა და ლონე არ დას-
 ჭირებია. შემოიერთა თუ არა სამთავ-
 როები, გიორგი V ხელი მიჰყო ოსებს.
 დაამარცხა, წაართვა დაჭერილი ციხე-
 დაბები და თავიანთს ქვეყანაში გარე-
 კა, კავკასიონის მთაში შელალა, საი-
 დგანაც იგინი შემოესეოდნენ ხოლმე
 ქართლს. მაგრამ მეფე მარტო ამას
 არ დასჯერდა. საჭიროება თხოულობ-
 და, შემდეგში ოსები არ დას-
 ცემოდნენ სამეფოს და ამისათვის კი-
 დევ საჭირო იყო ვიწრო გამოსავალ
 გზებისა და ხეობების დაჭერა. სწორედ
 მეფეც ასე მოიქცა, — „გზანი ყოველ-
 ნი თვით დაიპყრნა“. მაგრამ ეს კიდევ
 არა ჰყმაროდა, მეფეს სურდა თვით
 მრისხანე კავკასიონს თავი მოეხარა
 იმის წინაშე, იმას სწადდა შეემუსრა
 და დაეპყრა ეს ურჩობის ბუდე და
 ამიტომ გადალახა მთანი და ღრენი...
 შევიდა „კავკასია შინა“, დაიმორჩი-
 ლა „ლალნი არწივნი მთისანი“ და

ხარჯი დაბლო. სჩანს, რომ მთა მაშინაც შეუპოვარი და გულ-გაუტეხავი ყოფილა — მეფეს მეორედ კიდევ დასჭირდა „კავკასია შინა“ შესვლა და ეს აღბად იმიტომ, რომ მთიულნი განდგნენ, ურჩი შეიქმნენ. მართლაც და, მთიულნი მხოლოდ ცოტა ხნობით თუ მოუხრიდნენ ხოლმე ბატონს კისერსა და ისიც მარტო მძლავრს ბატონს. პირველს შესვლაზედ მეფეს ვერ გაუტეხნია გულ-დიდი მთის ხალხი და მეორედ-კი დაუმორჩილნია „ყოველნი უმეტეს პირველისა“. ამ მეორე ხანას ეკუთვნის მთიულთა შინაურის ცხოვრების განწყობა და განკარგება. იმ დროს განუჩინა მეფემ „კავკასიათა შინა მყოფთა“ სჯული, ეგრედ წოდებული მეგლის დება⁴⁸⁾). შე-

⁴⁸⁾ ეს „ძეგლის დება“ ვახტანგის სამართლის წიგნშია ჩართული. ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელნაწერი გვაქვს და ამ ხელნაწერის ძეგლი 46 მუჩ. შესდგება. ბროს-სეს ჰელნია პარაუის წიგნთხაცავის ხელთნაწერი, სადაც ძეგლის დება უფრო ვრცელდება.

სანიშნავი და საყურადღებო ისტო-
რიული საბუთია იგი ძეგლის დება და
მეტადრე წინასიუკვაობა ძეგლი ნა-
თელს ჰქონის მთისა და საქართველოს
დამოკიდებულებას, ცხოვლად გვიხა-
ტავს მაშანდელს მდგომარეობას. წი-
ნადვე მთა სამეფოს განუყოფელი ნა-
წილი ყოფილა და თუ ხშირად ტახტს
არ ემორჩილებოდა, ამის მიზეზად
თვით სამეფოს ჟამადა - ჟამადი და-
სუსტება უნდა ჩაითვალოს. მეფე გი-
ორგიც თავისის პირით აღიარებს ის-
ტორიულს უფლებას, — „შევედით
მთიულთა შიგან... ყოველგნით უცი-
ლებლად ქონებასა შინა სამეფოსა
ჩვენისასა“... მაგრამ დროთა ვითა-
რების გამო „უცილებელი“ უფლება
სრულიად შეიღახა, თითქმის გან-
ჰქონა. მორჩილება განსდევნა „უნე-
ბურებამ“. ძეგლიდამ სჩანს, რომ „უნე-

ლია, სამოც-და-ეჭვს მუხლოვანი. როგორც
ეტყობა, იგი სხვა ვარიანტს წარმოადგენს,
H. de la G. p. 644, n^o.

ბურება“, „აღრევით ყოფა“ წინადაც, გიორგი ბრწყინვალის აღრე, ხშირი ყოფილა მთაში: დრო ხელს არ უწყობდა და თვით მეფებსაც „ეპ-რიანებოდათ“ (?). ასეთი მდგომა-რეობაო. ეს «ეპრიანებოდათ», რა-საკვირველია, სახელისა და ლირსების დასაცველად არის ჩართული, თორემ ნამდვილი საბაზი მთის „აღრევით ყო-ფისა“ ტახტისა და სკიპტრას უღო-ნობა იყო ხოლმე და სხვა არაფერი. ასე გახლდათ ბრწყინვალი მეფის დრო-საც და იგი მეფე მთაში შევიდა, რად-გან „უნებურნი“ მოიპოვებოდნე-ნო: «მოვედით ხადა ცხოტი», და მო-ვასხენით ყოველნი უნებურნი ხევის ბერნი და ჰაეროვანნი».... და თუ ასე გახლდათ, მაშ რა ჰსურდა მეფეს? — „უცილებლად პყრობა ტახტისა და სკიპტრისა“ და მეორედ კიდევ — მო-სპობა «აღრევით ყოფისა» ეს „უცი-ლებელი პყრობა“ ცხადად ამტკიცებს, რომ მეფემ იმ დროს სრულიად სძლია მტრებს, ვასალობა თავიდამ მოიშო-

რა და თვით-მპყრობელი შეიქმნა. თუმცა ზოგთა მეფის თვით-მპყრობელობა არა სწამთ და ამტკიცებენ, ვითომ გიორგი ბრწყინვალე ბოლომდე მონგოლების ვასალი იყო და არა სხვა ვინმეო, მაგრამ ძეგლის დება სრულიად არღვევს ამ აზრს, მეტადრე ის ხელთ-ნაწერი, რომელიც პარიჟის წიგნთ-საცავში მოიპოვება ⁴⁹⁾). ეს უსაფუურელო აზრი იქიდამ წარმოსდგა, რომ ყურადღება არ მიაქციეს, თუ როგორ იზრდებოდა მეფის ძალა და ძლიერება. პირველად იგი, მართალია, ვასალად ირიცხებოდა, მაგრამ მეფის «სიბრძნე-გონიერებაც» იმაშია, რომ ნელ-ნელა ვასალობა მოიშორა და

⁴⁹⁾ და რომელიც ბროსეს ჰელნია ხელში. ამ თვით ის ადგილიც, რომელიც არც რესულს თარგმანში და არც „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელთნაწერში არ მოიპოვება: „notre puissance et l'autorité de notre sceptre étant universellement et sans contestation respectés dans notre domaine royal“...

სრული დამოუკიდებელი შეიქმნა, თუმცა კი არ ვიცით სახელდობრ რომელს წელს მოიპოვა თვით-მპყრობელობა. სხვათა შორის, მხოლოდ თვით-მპყრობელობის ძალით და მის განსამტკიცებლად შევიდა იგი მეორედ „კავკასია შინა“, თუმცა საბაბად მთიულთა „აღრევით ყოფაც“ იყო. ცხოველის სურათით გვიჩატავს ძეგლის დება ამ „აღრევით ყოფას“... „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილი იყო ერთმანეთსა ზედა“... „დალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი და ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება... და ყოლ სამართალი აღარ იყო-ლა“... ძეგლის აზრით, ამ უწესოების მიზეზი ვითომ «სისხლის სიბუქობა» ყოფილა, მცირე სისხლი ანუ სისხლის ფასი, გარდასახადი. იგი ძეგლიც ამ მიზეზს აქცევს ყურადღებას, თუმცა «აღრევით ყოფის» საბაბი სხვაგან უნდა მოიძებნოს და მარტო „სისხლის“ რაოდენობა აქ არაფერს შეუაშია.

სჯულ მდებელი მეფე მნილოდ და-
რიელამდე მისულა, — „დარიელით
მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისას
მთავარ-მოწამის წინაშე... აქ შევ-
ნიშნავთ აგრეთვე, რომ მეფემ ადგი-
ლობრივ მთიულთა შინაური საქმეე-
ბიც განიხილა — „ჩამოვარეთ ცხრა
ზეის ხევი (ქსნის ხეობაშია) და მო-
ვიკვლევით მუნებური სასაქმოო“...*)

XII

როცა ნოინები ერთმანეთის წინაა-
ლმდევ აიშალნენ და მონგოლთა შო-
რის განხეთქილება ჩამოვარდა, მეფე-
სათვის ეს გარემოება მეტად სასარ-
ებლო იყო და კარგადაც გამოიყენა
მარჯვე ლრო მონგოლების ძალა
დაიქსაქსა და მათ მომრეობასაც ბო-
ლო მოეღო. მტრის შებედვა და ხე-
ლის შებრუნება ეხლა შეიძლებოდა
და ვიორგი მეფე ხომ თავისს „სიბრძ-
ნე-გონიერებას“ ლროთა ვითარებას
უმორჩილებდა. მტრის აშლისა და

*) უველა ეს ადგილები ძეგლის და-
ჭის წინასიტუვაობიდგან მოგვყავს.

არეულობის დროს საქართველოშ
სრულიად მოიშორა მძიმე უღელი და
შეზუსრა სულთამხუთავი ბატონობა.
არც აქ უღალატა ფრთხილმა მეფეშ
თავისს ჩვეულებრივს მიმართულებას
და ხასიათს,—სადაც ძალა საჭირო
იყო, ძალა იხმარა, სადაც არა — „გო-
ნიერებას“ დაემყარა, „სიბრძნეს“ მიენ-
დო. მოგეხსენებათ ვაჟკაცთა წესი:
სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო...
მეფეც ამ წესს ადგა და მისდევდა.
რაც უნდა იყოს, ამ „სიბრძნე-გონი-
ერებამ“ სრულიად განდევნა გარეშე
მტერი. მხოლოდ ერთი საშიშარი მტე-
რი კიდევ დარჩენილიყო, და თქვენც
გეცოდინებათ, რომ ეს მტერი შინაუ-
რია და სახელად ეწოდებოდა... ორის
ძმის გაყრა, ერთის საქართველოს ორ
სამეფოდ გაყოფა.

წინადევ შევნიშნეთ, რომ ორ-მე-
ფობა განზრას და მანქანებით შემო-
ილეს. ამ უკანონო ქმნილებამ მაღა-
ვშობა ზავისებრ უკანონო შეილი—
ორის სამეფოს დაარსება. ულო ყა-

ენს სძულდა დავით ნარინი, ხელში
უნდოდა ჩაეგდო, მაგრამ მეუემ თავს
უშველა, ქუთაისში გაიჭეა და იქ
საკუთარს ტახტზედ დაჯდა. საქართვე-
ლო ორ სამეფოდ განიყო⁵⁰). რა-
საკვირველია, უჩჩის მეფის საქციელი
არ მოეწონებოდა ყაენს, მაგრამ არც
ორის სამეფოს დაფუძნება უნდა ყო-
ფილიყო საწყენი, დასაღონებელი.
და ან რად უნდა ყოფილიყო, როცა
ეხლა ერთობა მოისპო და საქართ-
ველოს დამონებაც ადვილი შეიქმ-
ნა?! ადვილად დაიმონეს კიდეც და
თუ თდესმე ძლიერი ივერია ასე შე-
რცხვა და დამცირდა მონგოლების
დაოს, ამის მიზეზად, სხვათა შო-
რის, ის უბედურებაც უნდა ჩაითვა-
ლოს, რომელიც რუსულანის „ტანით
ზომიერ, ფერით თხელ, ენა-ტკბილ,
მდაბალ, ცხენსა ჩედა მჩნემ, ფერს.

⁵⁰⁾ გახუშტის სიტყვით ეს ამჰავი მოხდა
1246 წ. საქ. ისტ. გვ. 239, ბროსსე-კი ამ-
ბობს, რომ 1258 წ. მოხდაო, H. de la G.
p. 546, n^o.

მალე და განმგონე“ შეიღმა . დავით
ნარინმა მოუკლინა სამშობლოს...

უდიდესი ლვაწლი გიორგი ბრწყი-
ნვალისა სამეფოს გაერთიანებაა, მაგ-
რამ აქაც გარემოებამ გაააღვილა ეს
ლვაწლი. თითქო ბედი და იღბალი
თან დაჰყვა მეფესაო, ყველაფერი
ეხმარებოდა, ხელს უწყობდა. ხოლო
იგი ხომ დიდი ოსტატი იყო და ზედ-
მიწევნით ესმოდა, რა დროს რა უფ-
რო მოხერხდებოდა. მონვოლების გა-
ძევების შემდეგ, მეფე ორის სამეფოს
გაერთიანებას შეუდგა და დროც იყო.
პირველად ესა, რომ ერთობის საჭი-
როებას ყველა ჰერძნობდა და, რო-
ცა მეფე ამის შესახებ დაეკითხა იმერ-
თა, ლიხის იქით ყველამ თანაგრძნო-
ბა გამოუტადეს. თვით მეფის ხასია-
თი და მოქმედება უნებლიერ იზი-
დავდა იმერთა სულსა და გულს და
ეს მით უფრო, რომ ხალხის მეხსიე-
რებაში ჯერ აღმოფხვრილი და გამ-
ქრალი არ იყო წარსული ძმობა და
ერთობა... დიალ, იმერნი აღტაცებით.

მიეგებნენ, როცა მეფემ თავისის ლაშქ. რით გადალახა ლიხის მთა და იმერეთში შევიდა. ზალხის გული მეუესაკენ იყო, მაგრამ სხვათრივაც ბედი სწყალობდა თავისს რჩეულს. და აი როგორ.

მოკვედა თუ არა დავით ნარინი, იმისმა შვილებმა უთანხმოება და შუღლი ასტეხეს. უფროსს ძმას კონსტანტინეს ეკუთვნოდა მეფობა, ავიდა კიდევც ტახტზედ, მაგრამ მეორე ძმამ მიქაელმა ეს არ იყაბულა, მეფეს არ დაემორჩილა და რაჭა-არგვეთი დაიჭირა, სადაც თავის ნებაზედ იჭცეოდა, — „დღეთა მათთა იშლებოდა ქვეყანა იგი“... „და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს“⁵¹⁾... ერისთავებსაც ეს უნდოდათ, აღრევა ხომ მათ გაძლიერებასა და განდიდებას ხელს უწყობდა. როგორც ყოველთვის, ეხლაც, მოილრუბლა თუ არა იმერეთის ცა, მთავარინიც განდგნენ: გიორგი დადიანმა მთლად ოდიში დაიჭირა

ანაკოფიამდე და ცხომის საერისთოს
მთავარი შეიქმნა; შარვაშიძემ აფხაზეთი
დაისაკუთრა, გურიელიც გურიას ვას
დაანებებდა და სხ. ^(*)); ერთის სიტყვით,
თითოეული მთავარ-ერისთავი განუღ-
გა მეფეს, თავისს სამთავროში დამოუკი-
დებელი შეიქმნა და როგორც ენება,
ისე განაგებდა ქვეყნის საქმეს. მეფე
ვის ახსოვდა, იმას ვინდა რათმე აგ-
დებდა... და ეს დამცირება იქამდე
მივიღა, რომ როცა მიქაელ გარდა-
იცვალა, იმისმა შვილმა ბაგრატმა
„ვერ იკადრა მეფობა“, სხვათა შო-
რის, „დაუმორჩილებლობითა მთა-
გართათა!“ ამ გვარი მდგომარეობა
სწორედ საადვილოდ ხდიდა იმერეთის
შემოერთებას და გიორგი ბრწყინვა-
ლემ ადვილადაც შეასრულა ეს სა-
ქმე. ჯარი შემოარტყა ქუთაისს და
ყრმა ბაგრატ იძულებულ შეიქმნა
1330 წ. დამორჩილებოდა მძლავრს.

^(*) H. de la G. p. 610, n^o.

მეფეს. შემდეგ ბაგრატის მარტო შორაპნის საერისთო უბოძეს ⁵³⁾).

სატახტო ქალაქის ქუთაისის აღებამ თავს ზარი დასცა დამოუკიდებელ და განდიდებულ მთავარ ერისთვებს. გაკადნიერებულმა ფეოდალებმა უმაღვე იგრძნეს რაც მოელოდათ, თუ ურჩობას გაუწევდნენ მძლავრს მეფეს, რომელსაც, საკუთარს ჯარს გარდა, იმერთა თანაგრძნობაც ამხნევებდა. მეორეც ესა, არავისთვის დაფარული არ იყო მეფის განზრახვა, მისი გულის წადილი, ყველა კარგად ჰქედავდა, რომ მეფეს ჰსურდა „სრულის საქართველოს“ აღდგენა. წინააღმდეგობა არას გზით არ მოხერხდებოდა და, რაღვანაც ჩვენს დიდყაცობას დროთა ვითარების ალლო და გამჭრიახობის უნარიც ჰქონდა ხოლმე, ამიტომ, ანდაზისა არ იყოს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა: „დადიანი მამია, გურიელი და სვანთა ერისთავი, და აფხა-

⁵³⁾ ქ. ც-ბა, გვ. 449.

ზეთისა შარგაშიძე მოერთნენ ნიჭი-
თა დიდითა და დაულოცეს მეფობა
იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა”⁵⁴⁾).
მაგრამ მეფემ ეს არ იკმარა, და არც
მარტო სამეფოს ცალიერი დალოცვა
და სკიპტრის წინ თავის მოდრეკა
შეადგენდა გიორგი ბრწყინვალის იდე-
ალს, არა, — იმისი აზრი უფრო შორს
სცემდა... არა ერთხელ და ორჯელ
დაპორჩილებიან ძალა უნებურად მთა-
ვარნი მეფეს, მაგრამ მერე, როცა
დრო უპოვნიათ, ისევ გამდგარან,
უღალატნიათ. ეხლაც საჭირო იყო
მარტო დამორჩილება-კი არა, არა-
მედ შეცვლა იმ წეს-წყობილებისა,
რომლის მიზეზითაც მომდინარეობდა
ეს მუდმივი განლგომა და ფაშალ-ფამა-
ლი ურჩიბა. წეს-წყობილების შეცვლა
კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ
მეფემ ალიარა მთავარ ერისთობა პი-
რადი საკუთრება არაა, ჩემი ნებაა
ვისაც ვუბოძებ, ხოლო ვუბოძებ მა-

⁵⁴⁾ ibid.

რტო იმას, ვინც მორჩილი იქნებაო...
 საქმითაც ასე მოიქცა: შემოვლო
 მთლად დასავლეთ საქართველოს ყვე-
 ლა საერისთო, საქმენი განაწყო, ყველ-
 გან წესი და რიგი დაადგინა და ერთ-
 გულნი, მორჩილნი მთავარნი დააყე-
 ნა. თვით სამცხე-კლარჯეთმაც მოწი-
 წებით თავი მოუდრიკა გვირგვინოსანს
 შეფეხს, როცა იგი შევიდა განდიდე-
 ბულს სამთავროში. იქაც დასხნა
 მორჩილნი ერისთავნი. ამ გვარად
 აღადგინა ბრწყინვალე მეფემ ძლიერი
 საქართველო, «ივერია დათანტული
 სამეფოდ, სამთავროდ და საერისთოდ
 დაყოფილი... კვალად შემოიკრიბნა
 და დაიმონნა»... დიდი და თვალ სა-
 ჩინოა იგი ღვაწლი, მით უფრო, რომ
 კვეთილმა ხუროთ-მოძღვარმან, სა-
 მეფოს ერთობა ააშენა და დაამყარა
 სჯულსა და წესზედ, ცხოვრების გა
 უმჯობესობასა და განკარგებაზედ;
 მან სულიერი ძალა ჩაპირა, ცხო-
 ველ-მყოფელი მაღლი სცხო კვალად
 აღდგენილს ივერიას და მხოლოდ ამ

ძალამა და მაღლმა დაიფარა და შეინახა გაერთებული საქართველო ას ოც-და-ათს წელს. მარტო გარეგანი ძალა ვერ დაიცავდა დიდის ივერიის ერთობას. საყურადღებო და შესანიშნავიც ისაა, რომ მეფემ „ძლიერებას“ შეუსაბამა „სიბრძნე-გონიერება“. იშვიათად მოიპოვება, არა თუ მარტო ჩვენს წარსულში, სხვაგანაც ისეთი მეფე, რომელიც თავისს ძლიერებას ჰგრძნობდეს, ლონეზედ დარწმუნებული იყოს, მაგრამ ან ერთმა და ან მეორემ არ წაიცდუნოს, არ წაიტაცოს... იშვიათია, რომ კაცი თავისს ძალას უმორჩილებდეს იმ უზენაესსა და ლვთიურს ნიჭს, რომელსაც გონიერება ეწოდება. მაგრამ ამ ზეგარდმო ნიჭით უხვად მიმადლუბული იყო გიორგი მეხუთე. მისი დიდ-ბუნებოვანობა თითქო ჰარმონიულად შემკობილი და შეწყობილია „უებრო ახოვნებითა“ და მაღალის „გონიერებითა“. ამ ლირსების მქონე „ხუროთმოძლვარი“ მკვიდრად აგებს შენობა-

სა და გიორგი ბრწყინვალის შენობა-
მაც ასე დიდ ხანს გასძლო, თუმცა
გარშემო მღველვარება და გრიგალი
არ დამცხრალა ..

XIII

ვიდრე მეფე ორს სამეფოს გააერ-
თიანებდა, რასაკვირველია, მონგოლ-
თა უღელი უნდა შეემუსრა. როგორც
უკვე შევნიშნეთ, მუსაით ყაენმა და
ჩოფანმა პირველადვე მისცეს გიორ-
გის «ყოველი საქართველო და ყო-
ველნი მთავარნი საქართველოსანი,
და შვილნი დავით მეფისანი, და მეს-
ხნი, შვილნი ბექასანი», მაგრამ ნო-
ინები-კი მაინც დარჩნენ საქართვე-
ლოში და იმ დროს მეფე ისევ ვასა-
ლურს დამოკიდებულებაში იმყოფებო-
და. სამეფო სკიპტრას ნოინობა ჰქონდი-
ლავდა და სრულმა შუქმა იგი სკიპ-
ტრა მხოლოდ მაშინ გააბრწყინვა,
როცა ნოინობა აღმოიფხვრა. ხოლო
ნოინთა ძალა და ბატონობა შეირყა
ისევ ყაენთა აღრევის დროს. ეს იმი-
ტომ, რომ ნოინთ დამოკიდებულება

ჰქონდათ ყაენებთან და ალრევის დროს ნოინებსაც უთანხმოება ჩამოუფარდათ. იგინიც ცალ-ცალკე განდგნენ, თითოეული მძლავრი ნოინი ჰლამობდა დაეპყრა რომელიმე ნაწილი საყენოსი და კიდეც „რომელთამე დაიპყრეს“... ერთმანეთის ჯიბრიმა და ცილმა ნოინებს თითქო გონი და სამხედრო საზრისი დაუბნია, ამასთანავე თვით ლაშქარში მოისპო წესი და მორჩილება, განჰქრა სამხედრო სული, რომელიც აქაშდე უძლეველს ჰყოფდა მონგოლთა, ამ «მოისართა რჩეულთა», „მაგრითა მშვილდითა უციომრად მსროლელთა“...

გიორგი ბრწყინვალესათვის ხომ ამ გვარი გარემოება მეტად სასარგებლო იყო. მართალია, ძალითა და მახვილით მტრის განდევნა ამ დროს გასაჭირს არათერს წარმოადგენდა, მაგრამ მეფემ მხოლოდ ზოგიერთნი «განასხნა ბრძოლითა და ძლიერებითა», დანარჩენის თათრების გაძევება ისევ

„გონიერებით“ მოახერხა და თუ არ
დავივიწყებთ, რომ მთლად აღმოსავლე-
თი საქართველო მონვოლთა ჯარს ეჭი-
რა და მთის ნაპირნიც-კი მათ ხელთ
იყო, მაშინ მეუის უებრო „სიბრძნე-
ძლიერებას“ უნებლიერ დიდი ჰატივი
უნდა ვსცეთ. დიალ, მტრის მდელვა-
რებაზე დაატუშნა მან თავისის ერის
მყუდრო ცხოვრება და ოდესმე მრის-
ხანე მეტოქის დასუსტება სამშობ-
ლოს აღორძინების საძირკვლად ჩა-
დეა!..

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ვითომ მე-
ტის „სიბრძნე გონიერება“ აღემატე-
ბოდა მისსავე „ძლიერებას“, სრულე-
ბითაც არა, — ეს ორი თვისება სის-
წორით იყვნენ შეწონილნი და ისე
მოთავსებულნი, რომ არ იცით,
რომელი მათგანი სძლევდა.. როცა
საჭიროება თხოულობდა ბრძოლასა
და ვაჟკაცობას, მეფემ ჩამორჩენა არ
იცოდა და ძალას არ ერიდებოდა
ხოლმე. რამდენმამე წელიწადმა გაია-
რა მტრის გაძევების შემდეგ და ერთ-

მა ნოინმა, სახელდობრ აღრაბაგანისამ, (ადერბიჯანი) ისურეა, „რათა დაიმორჩილოს გიორგი მეფე“... სჩანს, რომ იმ დროს მეფე „მორჩილობაში“ აღარ ყოფილა და, რადგანაც აღრაბაგანი საქართველოს საზღვრად იდვა, ნოინს მოუნდომნია „მორჩილობის“ აღდგენა, ბატონობის განახლება. თავხედმა ნოინმა აიღო სამეფოს ზოგიერთი ადგილი და განჯას მოვიდა. მეფე თავისის ჯარით იქ დახვდა მტერს და, სასტიკის ბრძოლის შემდეგ, სრულიად შემუსრა, „მოსრნა“ მისი ძალა. გამარჯვებული გიორგი „ალაფითა დიდითა“ დაბრუნდა უკან.

არაა მოხსენებული სახელდობრ რომელ წელს მოხდა ეს ამბავი, მაგრამ აქ საჭირო და საგულისხმიერო თვით ამბავია: იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ იმ დროს მეფემ მოიშორა ვასალობა და სამეფო თვით-მპურობელობა შეიმოსა. ამ ამბის შემდეგ სწორედ თვით მპურობლობის ნიშანი და ბეჭედი აზის გიორგი ბრწყინვა-

ლის თითოეულს მოქმედებას, სამეცნ
 განკარგულებას. მეფე აღარავის ეკით-
 ხება, გარეშე ბატონის ბრძანებას არ
 საჭიროებს, თავის თავად და დამო-
 უკიდებლად განაგებს ყოველ გვარს საქ-
 მეს. ძირეულად შეიცვალა ტახტისა და
 მეფის ვითარება, სახელმწიფო ცხო-
 ვრება სწორე და საკეთილო გზას და-
 ადგა და თვით დროშამაც პირი შეუბ-
 რუნა მტერს. როდესაც, მაგ., საბერძ-
 ნეთის სულტან ორხანმა მოიწადინა
 საქართველოსათვის წაეგლიჯა რამე,
 კლარჯეთი და მისი მიდამონი დაეპუ-
 რო, გიორგიმ ჯერ ჩვეულებრივს „სი-
 ბრძნე გონძერებას“ მაჰმართაზავის
 დადება შეუთვალა მტერს, მაგრამ
 ორხანმა არ ინება მშვიდობა და საქ-
 მე მახვილზედ მიაგდო. ძვირად და-
 უჯდა მეშულლეს უგუნური კადნიე-
 რება: გიორგიმ ურიცხვი თურქი გაჟ-
 ლიტა, სულ გაანადვურა თავისი მო-
 ქიშე, ასე რომ თვით სულტანიც-კი-
 დლივს გადარჩა სიკვდილს. მეფეს დი-

და ალავური დარჩა და „მნიარული“
მოვიდა ტფილისს⁵⁵).

უურო ადრე, ვიდრე ეს ამბავი მოხ-
დებოდა, როცა პირველად ნოინია შრ-
რის შულლი ჩამოვარდა, მეუემ გაი-
ლაშქრა რანსა (აწინდელი ყარაბაღი)
და შირვანზედ, დაიძორჩილა და წარ-
ჯი დაადო; ამ გალაშქრებას თან
მოჰყვა უწინდელის საზღვრის აღდ-
გენა, — აღმოსაკლეთით საქართველო
კასპის ზღვასა და დარუბანდამდე იყო
ხოლმე გადგმული და, როცა მეფემ
რანი და შირვანი „მოხარკე ჰყვენა და-
რუბანდამდე ქურდის ლეკითურ“⁵⁶),
მხოლოდ ნამდვილი და სწორე მიჯნა
ჩასდო, უმეტ-ნაკლებოდ შემოზღუდა
სამეფო და სხვა არაფერი...

⁵⁵⁾ ორხანი მეფობდა 1325—1359 წ.
ბროსეს სიტუვით, იმის ცხოვრების აღწერაში
არ იხსენიება, რომ გორგი ბრწყინვალესა და
ორხანს ბრძოლა ჰქონდეთ კლარჯეთის გა-
მო. H. de la G. p. 648, n^o 3, მაგრამ ეს
გარემოება ხომ არ არღვევს ჩვენის მატიანის
ამბავის სინამდვილეს.

⁵⁶⁾ ibid, p. 646—647.

როგორც სჩანს, თუმცა პირველმა
 გალაშქრებამ ნაყოფი მოიტანა და მე-
 ფემ დაიმორჩილა მთელი მხარე და-
 რუბანდამდე, მაგრამ იგი მხარე მჭიდ-
 როდ მაინც არ შეერთებია საქართ-
 ველოს. ამისი მიზეზი ისაა, რომ პირ-
 ველ ხანებში საქართველო თითონაც
 არ იყო სრულიად თავისუფალი, ჯერ
 ისევ მონგოლებს ემორჩილებოდა და,
 რასაკვირველია, უცხო მოდგმისა და
 ტომის ხალხის შემოერთება ძნე-
 ლად მოხერხდებოდა. მაგრამ მევე მა-
 ლე თვით მპყრობელი შეიქმნა და
 მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლოა ძვე-
 ლის მოხარკეების მკვიდრად დამორ-
 ჩილება, ოცცა არცა ღა იყვნენ თა-
 თარნი საბრძანებელსა მისსა», მაშინ
 მევემ «უმეტესად დაიმორჩილა» ძვე-
 ლი მოხარკენი და განამტკიცა თავი
 სი ძალა, ამ მოხარკეების დამორჩი-
 ლება აქ საყურადღებოა უფრო იმითი,
 რომ ცხადად გვიხატავს, თუ რა გვა-
 რად მცირდებოდა მეფის ვასალური
 დამოკიდებულება და თანდათან მატუ-

ლობდა, იზრდებოდა თვით-მპყრობე-
ლობა. ამ შესანიშნავსა და საგულის-
ხმიერო ამბავსაც ცხადად ეტყობა
გიორგი ბრწყინვალის ხასიათის გავ-
ლენა. თვით-მპყრობლობის აღორძი-
ნებას ასეია გვირგვინოსანის სულიე-
რი ბეჭედი: როგორც სხვაგან, აქაც
მეფე დიდს საქმეს ზედ არ შევარდა,
ნელ-ნელა და აუჩქარებლივ აწარმო-
ვა იგი საქმე და ბოლოს დროს «სიბრძ-
ნე-გონიერებით» დაამთავრა. სამეფოს
თვით-მპყრობელობის აღდგენამ და-
აგვირგვინა დიდი ღვაწლი და ამიტომ
იგი თვით მპყრობელობა კვალად
მოევლინა ივერიას მხოლოდ მაშინ,
როცა მეფემ „დაიმორჩილნა და დაი-
მონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა-
თვისსა... ნიგრაფსიიდამ დარუბანდამ
დე... და აღარა იყო წინააღმდეგი
და ურჩი მისი...»

XIV

აღდგენილს სამეფოს შინავანი გა-
ნახლება და განწყობა ესაჭიროებოდა
და მეფემ სწორედ ამ საქმესაც მიაქ-

ცია ჯეროვანი ყურადღება. საჭირო იყო: როგორც უკვე შევნიშნეთ, მონ-
გოლების ბატონობაში სრულიად შე-
ლახა და შებილწა ქართველების შე-
ნაოსა, შეწიკვლა ცხოვრების წესი და
რიგი. ასეც უნდა მომხდარიყო, რად-
განაც სხეის ბატონობას მავნებელი
გავლენა აქვს ერის ზნე-ჩვეულებაზედ.
რაც უნდა იყოს, აქ საგულისხმიერო
უფრო ისაა, რომ გიორგი ბრწყინვა-
ლებ სულიერადაც განაახლა „ყოვე-
ლი საქართველო“, საკეთილო წეს-
წყობილება დაადგინა და ახალი სჯუ-
ლი მისცა თავისს ერს, ორ გვარი მი-
მართულება და ხასიათი ცხადად ეტ-
ყობა მეფის სულიერს შემოქმედობას,
მის სასჯულ-მდებლო ღვაწლს: მე-
ფისათვის საკმაო არაა მარტო საქმე,
იგი თეორიულადაც იღვწევის, საჭმესა და
აზრს, ცხოვრებასა და თეორიულს
სჯულ-მდებლობას აერთებს, ერთურთს
უმორჩილებს, სწორედ ისე, როგორც
სახელმწიფოს შესაკრებლადაც აზრი
და მოქმედება ერთმანეთს შეუფარდა

და შეუსაბამა. აქაც, ამ შინაურის ცხოვრების ყანახლებაში, ჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა: რომელ საქმის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, გააკეთა და ნელ-წელა დაამთავრა ცხოვრების წესიერი განწყობილება

სამწუხაროდ, მეფის სასჯულ-მდებლობო ღვაწლსაც თითქმის ისეთივე ბეჭი ეწია, როგორიც მის ცხოვრებას: გიორგი ბრწყინვალის სჯულ-მდებლობა დაიკარგა და ჩვენამდე მხოლოდ „ძეგლის დებამ“ მოაღწია, თუმცა ეჭვი არაა, რომ, მეგლს გარდა, მან სხვა სამოქალაქო სჯულიც განუჩინა თავისს ერს. მართლაც-და, ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტორია და თითო-ოროლა აქა-იქ დარჩენილი საბუთი ცხადად გვიჩვენებს, რომ გიორგიმ მარტო „ძეგლის დებით“ არ დაასრულა თავისი იურიდიული მოღვაწეობა. ჯერ ერთი ესა, რომ მეგლი მარტო მთიულთა სჯულია და მეფემ ამ სჯულის სარჩიელი თითონცე ვიწრო ხაზით შემოფარგლა, — „ჯვართა

ყელს აქეთ ხადაცხოვს, ზანდუკის
ხევს, კიბეთ, ქვეშეთ და მენესოს ზე-
მოდ ეს განაჩენი დავდევით“ *). მაშა-
სადამე, ძეგლის ძალა და მნიშვნელო-
ბა მეტად პატარა სივრცეს შეიცავდა
და ეს მაშინ, როცა დანარჩენი სა-
ქართველო ნაკლებად არ საჭიროებ-
და საკუთარი სჯული ჰქონდა.

ცალკე სჯული მეფეს „ყოველ სა-
ქართველოსათვისაც“ განუჩენია. ამას,
სხვათა შორის, ამტკიცებს წინასიტ-
ყვაობა, რომელიც მოსეს სამართალ-
შია ჩართული და რომლისთვისაც,
სამწუხაროდ, აქამდე ჯეროვანი ყუ-
რადლება არ მიუქცევიათ. წინასიტყვა-
ობაში პირდაპირ მოხსენებულია, რომ
მეფებ ისეთი სამართალი დაწესა, რო-
მელსაც შემდეგში თაქართველოს სა-
მივე სამეფო ჰქმარობდა 57). შე-

*) ი. ქ. ე გ ლ ი ს დ ე ბ ი ს. წინასიტყვაო-
ბა.

57) მოხსეს სამართალი ვახტანგის სჯულის
კრებაშია მოთავსებულია. თვით წინასიტყვაობა
მოგვითხრობს ვახტანგ VI-ის ღვაწლისა და

იძლება იგი წინასიტყვაობა მერე
იყოს ჩართული და არ ეკურვნო-
დეს თვით სჯულ-მღებელ ვახტანგს,
როგორც ჰეთიქრობს დიალ პატივ-
ცემული ჩვენი მესტარიე⁵⁸), მაგ-
რამ აქ საჭირო მხოლოდ ისაა, რომ
წინასიტყვაობა ეთანხმება სხვა ცნო-
ბებსაც ამ საგნის შესახებ. სხვათა
შორის, ვახტანგი საკუთარის თავისს სა-
მართალში იჩსენიებს ერთს საყურად-
ღებო ამბავს — „მეფემან პატრონმან
გიორგიმ განაწესა, რომ შუათანა ძმა-
საც ერთსასმე მისცემენ“⁵⁹) და ეს ამბა-
ვი ნათელს ჰქონის ხსენებულს საგანს.

მეჩე ასე განაცრძობს: „იპოვნა და მოგზავ-
ნიავლითა იძელებოთა და ფრიადითა შრომი-
თა... დი დის მ ე ფ ე თ - მ ე ფ ი ს გ ი თ რ-
გ ი ს მ ი ე რ თ ქ მ უ ლ წ ი ს ა მ ა რ თ ა ლ-
წ ი ს, რომ მ ლ ი თ ა ს ჯ ი დ ე ნ ს ა მ ნ ი ვ ჭ-
ე ს ე ს ა მ ე ფ თ ლ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი...“
⁵⁸⁾ სახელმძღვანი დ. ზ. ბაქრაძე, ი. ფ. ფრენ-
კელისაგან რუსულად გამოცემული ჩვენი
სჯელ-მჯებლობა, Стр. 146, прим. 2.

⁵⁹⁾ ვახ. სამ. მუხ. რბ. მართალია, რო-
გორც შენიშვნას ბ-ნი ბაქრაძე ფრენკელის გა-

გარდა ამისა, თვით ეახუშტიც თავისს „შემატებაში“ მოვითხრობს: მეუემ... „სჯული და სამუქალაქო წესი განაბრწყინვა“ .. აქ, რასაკვირველია, სხვა სჯული უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და არა ძეგლის დება. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე შევნიშნეთ, სათემო კანონს შეადგენდა და მთელის საწელმწიფოსათვის სავალდებულო ძალა არა ჰქონდა.

მოიპოვება ერთი საბუთიც, რომელიც ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეუემ საერთო სჯული დაწესა და „სისხლის დასაურვებლად“ საკუთარი ფული მოსჭრა, ეგრედ წოდებული გილოგული. მართალია, იგი გიორგული ძეგლის დენაში არაა ნა-

მოცემაში, ეს „განწესება“ აკლია ძეგლი ის დებას და არც სხვა სიგელ-გუჯრებში მოიპოვება, მაგრამ ამითი მარტო ის მტკიცდება, რომ გიორგი პრწყინვალის სამართალი დაკარგულია და არ ვიციო სჯული, სადაც იგი „განწესება“ ყოფილა ჩაწერილი.

ჩეენები, მაგრამ აღბულას სამართა-
ლი-კი ცხადად მოიხსენიებს: წინად
ყაზან ყაენის ფულა იყო ხმარებაში
და ჩვენ მეუის გიორგის თეთრი გავა-
ჩინეთო ⁶⁰). შემდეგ თვით ვახტანგიც
ამბობს, რომ გიორგული საყოველ-
თაოდ იხმარებოდათ ⁶¹). რასაკვირვე-

⁶⁰) ... „ყაზანური თეთრი იყო... და დი-
ლის წარჩინებულის მეფის გიორგის ყამისა
თეთრი გავაჩინეთ, ორიანი, რუთი დანგი (ორი-
ანი და ხუთ დანგიანიო) წმიდა ვერცხლი“...
აღბულას სამართლის წინასიტყვაობა. აქვე
მოხსენებულია საყურადღებო ამბავი: მეფეს
ხელ-უხლებელიად დაუტოვებია აწყურისა და სა-
თარის (მონასტრები არიან) წესდებანი, —
„აწყურისა და სათარისა ვითა ძველადგან ყო-
ფილიყო არცა დიდსა მეფესა მოეშალა“. სა-
თარა, ეს საკვირველი ნაშთი ხუროთ-მოძღვრე-
ბისა, ბეჭამ ააშენა.

⁶¹) ... „პირველ ყამურის თეთრის გიორგულს
ეძახდნენ; ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა
და ისრუცა და ის გიორგული რაერთისაცა
წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში ცარია
და იძითი იცნობთ“ ვახ. სამ. მექ. ი. აქ სა-
ჭიროა ვიცოდეთ, რომ გიორგულს და ნ-
გ ი ც ერქვა და თასით თეთრს უდრიდა,

ლია, ყველა ეს ვუჩვენეთ მარტო იმი-
ტომ-რ. გმ, თუ გრორგული „საქმობ-
და სისხლშიაცა და ისრეცა“, მაშ ფუ-
ლის მომჭრელს „სისხლიც“ გაუჩენია,
სჯულიც დაუზვია.

სამწუხაროდ, გიორგი ბრწყინვ-
ალის სჯულ-მდებლობა დაიკარგა და
ძეგლის დების გარდა მხოლოდ თითო-
ოროლა ნაწყვეტი ჰლალადება „სამა-
რთლის მომქმედის“ მოღვაწეობას.
„შემატების“ დამწერი აქაც ძეირობს,
„მცირედ“ უბნობს და ამიტომ მეტად
ძნელია გადაჭრით და საბოლოოდ
ითქვას რამე მეფის სჯულ მდებლო-
ბაზედ. მხოლოდ ერთის თქმა-კი შე-
იძლება და სახელდობრ იმისი, რომ
გიორგი ბრწყინვალემ თანასწორად
ყურადღება მიაქცია როგორც სა-
ეკულესიო, ისე სამოქალაქო სჯულს
საქმეც იმაშია, რომ «კეთილმა

შური ჰლირდა, როგორც ბროსაე გუნმარ-
ტებს. ის. ჩვენი სჯულ-მდებლობა რუსულად
თრუნკელისაგან გამოცემული, Стр. 96.

ხუროთ-მოძღვარმა, სრულიად განა-
ახლა სამეფო და რადგანაც. ეკკლე-
სია და სარწმუნოება ქვაკუთხედი
იყო სამეფოსი, ამიტომ „შემოიკრიბნა
კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი ივე-
რიისანი და განაახლნეს წესნი სა-
ეკკლესიონი“....

ეს „შემოიკრიბნა“ ლირს შესანიშ-
ნავი ცნებაა და გვრჩვენებს, რომ სჯულ-
მდებელი ჩვეულებრივს გზას არ ას-
ცდა: საქართველოში არც ერთი
თვალსაჩინო სახელმწიფო საქმე და
კერძოდ სჯულ-მდებლობა «კრების»
დაუსწრებლად არ გაკეთდებოდა ხოლ-
მე, სასულიერო და საერო წარჩინე-
ბულთა კაცთა „კრება“ გვირდით უდ-
გა მეფეს და რჩევას აძლევდა, პბჭობ-
და. იგი „კრება“ — ეს ჩვეულებრივი
ფორმა ერის წარმომადგენელობისა —
ჩვენის სახელმწიფოს საძირკველს შე-
ადგენდა, ამ საძირკველზე იყო და-
ფუძნებული ერის უფლება და მოვა-
ლეობა და რაც-კი რამე კეთდებოდა,
„კრებით“ კეთდებოდა... . . თვით-

მცყრობელმა სჯულის-მდებელმა „კრებას“ მიჰმართა და დავით აღმაშენებლის მსგავსად მოუწოდა ყველას, ვისაც-კი საქვეყნო საქმისათვის გული შესტკიოდა და «მეცნიერება» შესწევდა⁶²⁾.

მაგრამ იგი მარტო საეკულესიო სჯულისა და წესის დადებას არ დასჯერდა. საჭირო იყო ტაძრებისა და ეკულესიების განახლებაც და ეს მათ უფრო, რომ შინაურის არევ-დარევის დროს და მორის შემოსევის გამო არა თუ მარტო სარწმუნოება. შეილახა, თვით წმინდა სადგურნიც-კი დაირღვნენ. ბეჭას სკო-

⁶²⁾ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ გიორგი ბრწყინვალემ ქეგლის დებაც „პრების“ დასწრებით გაუჩინა მთიულებს. ეს თვით ქეგლი დებაც სჩანს: ... „შემოვიტანეთ თემისა და თემის თავნი და ხევის თავნი და ხევის ბერნი და ჰაეროვანნი, დავსხედით და დავსუით წმიდა მეფე და ქართლისა კათალიკოზი ეფოვიმე, ვეზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი და გავიგონეთ“ ...

ლაში აღმრდილს მეუეს, რასაკვირ-
ველია, ტაძრების აგება ლვთის სამურ
და კეთილ საჭმელ მიაჩნდა და ხუ-
როთ-მოძღვარმა „ეკულესიანი დარ-
ლვეულნი და მოოხრებულნი აღაშენ-
ნა, განაახლნა“... ასე რომ საეკულე-
სიო წესისა და სჯულის განახლე-
ბას ზედ დაერთო ტაძრების აღდგე-
ნა, გამშვენიერება. მართლ-მადიდებ-
ლობა გაბრწყინდა და სარწმუნოება
ელვარე სხივს ჰფენდა „საუფლის-წუ-
ლო“ საქართველოს მარტო თავისის
შინაგანის მაღლით-კი არა, არამედ
გარეგანის სიტურფითაც!.. დაუმატეთ
ამას, რომ მეფემ სხვათრივაც განაახ-
ლა ქვეყანა — «განავსნა და აღაშენნა
ქვეყანანი», უვარგისი „მოწესენი“,
მოწელენი გადააყენა, მათ მაგიერ
მცოდნე და ზნეობიან კაცებს ჩააბარა
გამჯეობა და ქვეყნის პატრონობა და
მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ მის
ლვაწლსა.

ზემოდ შევნიშნეთ, რომ ვიორგი
ბრწყინვალემ სამოქალაქო წესიც გა-

ნაბრწყინვაო, მაგრამ „შემატება“ ამ ამბავს მხოლოდ იხსენიებს და არ გან-
მარტებს. კი როგორ და რა ნაირად
მოხდა ეს გაბრწყინვება. რასაცირვე-
ლია, „შემატების“ ორითდე ნაწყვე-
ტი საკმაო მასალა არაა და უნებლივიელ
ჩვენც გვერდზე უნდა აუაროთ ისეთს
სახალისო და ხაყურადღებო ამბავს,
როგორიც „სჯულისა და სამოქალა-
ქო წესთა“ გაბრწყინვება... დავსძენთ
მხოლოდ, რომ მეფე თვით უბოძებ-
და ხოლმე მთავარ-ერისთობას (მაგ.,
მამია დადიანის ძეს გიორგის დადია-
ნობა, ყვარყვარეს ათაბაგობა) და ამ
გარემოებას გავლენა უნდა; ჰქონდა
„სამოქალაქო წესთა“ გაბრწყინვება-
ზედ.

XV

არ შეიძლება ვსთქვათ, რომ მეფე
გიორგი ლრმად მოხუცებული გარ-
დაიცვალა, თუ შემოსეს გამოანგა-
რიშებით იგი მართლა 1286 წ. დაი-
ბალა და «შემატების» სიტყვით 1346
წ. გარდაიცვალა, მაშ სამოცის წლისა

ყოფილა. მოხსენებული არაა, როგორ
დასრულა მეფემ ქვეყნიური სიცოც-
ხლე და ჩოგადი ცნობა — „გარდაიცვა-
ლა უცვლითა კეთილითა და ღვთის
მსახურებითა აღსავს ტფილის“ ხომ
საყურადღებოს არაფერს გვაუწყებს.
აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მან გან-
მართა სამეფო, ყველა საჭირო საქმე
განაწყო და მხოლოდ მაშინ წარსდგა
სამსჯავროსა წინაშე. საქაო განაჩენი
ერმა უკვე დაუდგინა თავისს რჩეულს
და იგი განაჩენი ბრწყინვალედ წოდე-
ბაა, — მეფემ თავისის ღვაწლით განაბ-
რწყინვა სამშობლო და ამიტომ ბრწყინ-
ვალე უნდა ეწოდებოდეს გვირგვინო
სანს მოღვაწესაო ... ზეციურისა და
საიქიო განაჩენისა ხომ არავინ. რათ
იცის, მხოლოდ ეს-კია, რომ გიორგი
ბრწყინვალეს, როგორც კერძო კაცს,
იმედითა და სასოებით შეუძლიან წარს-
დგეს პირუთვნელ მსაჯულის წინა-
შე, «რამეთუ იყო ჰაეროვნებით ფრიად
შშვენიერ და ახოვნებით უებრო, მოწ-
ყალე, უხვი, ობოლთა, ქვრივთა
დავრდოშილთა შემწყნარებელი».

ერთა გარემოება პირველის შეხე
დულობით თითქმ ამცირებს მეტის
ძლიერებასაო: იგი ასპარეზზე გამო-
ციდა მაშინ, როცა მონგოლების ბა-
ტონობას ფრთხები ჩამოვარდა და,
მაშასადამე, ადვილი იყო მათი მო-
რევაც, მართალია, მარჯვე დრო ეხ-
მარებოდა გიორგი ბრწყარვალეს და
იმანაც, იქნება, ამიტომ ასე ადვილად
შეასრულა მძიმე საქმე, მაგრამ არ
უნდა დავივიწყოთ, რომ მისი წინა-
პარნიც უფრო ფამთა ვითარებისა გა-
მო სძლევდნენ ხოლმე ძლიერს გა-
რეშე მტერს⁶³⁾). თუ არ მარჯვე დროს,
საქართველოს არ შეეძლო განედევნა
მონგოლნი, რომელთაც, აზიას გარ-
და, შუაგულ ევროპამდე მიიტანეს
იერიში. საქმეც იმაშია, რომ შე-
ფერ ხელიდამ არ გაუშვა შემთხვევა
და მტერს მხოლოდ მაშინ გაემკლა-
ვა, როცა შესაძლო იყო. ასე იქცე-
ოდა თითოეული ჩვენი დიდებული

⁶³⁾ Introduction, p. LXXV—LXXVI.

და წარჩინებული მეცე, რომელმაც-
კი ძლევა შეჰმოსა სამშობლოს და
თვათ უდიდესი დავით აღმაშენებელი
ამ გზას მისდევდა და სხვას არაფერს.

და ოთა და ფამთა ვითარებას ვერ
ვინ წაუვა. ამის სინამდვილეს შემ-
დეგი თავ - გადასავალი ამტკიცებს
სწორედ ორმოცხა წელიწადმა გაია-
რა გიორგი ბა წყინვალის შემდეგ და
საქართველოსაც ახალი რისხეა მოევ-
ლინა. საშინელი ბარბაროსი ლანგ-
თემური დიდის ჯარით შემოესია სა-
მეფოს. ბაგრატ მეხუთე, დიდად წო-
დებული, თუმცა „ორასითა მხედა-
რითა არა პრიდებდა ათასთა და უმე-
ტესთაცა და მოსწყვედდა სრულიად“,
მაგრამ ვერას გახდა მთელის ექვ-
სის თხვის განმაცლობაში ქ. ტფი-
ლისის გალავნის გარშემო თითქმის
ყოველ დღე მახვილის ტრიალი-და
სჩანდა და სისხლის ნიაღვარი იღვრო-
და. მხნედ იბრძოდა ბაგრატ. მაგრამ
იგი და დედოფალი ანნა 1387 წ.
მაინც დატყვევეს. მეფე - დედოფალი

ექვსს წელიწადს ჰყავდათ ტყველ.. დიდი და აღუთვალავი უბედურება დაადგა საქართველოს, — „არსალა დაშთა დაპანი და შენობანი წარუტყვენველად“...

არც ბაგრატ დიდის შეილი გიორგი მეშვიდე იყო ნაკლებად შესანიშნავი ვაჟკაცი და მეომარი პირველად მან კიდეც სძლია თემურის ლაშქარს, მამაცად ეპრძოდა მრისხანე მტერს, ასე გასინჯეთ, ბრძოლას თავი ზედ შეაკლა კიდეც, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ლანგთემურმა ექვსჯერ მოახსრა ტანჯული საქართველო და სისხლი სა და ცეცხლის კვალი ისე ღრმად გაავლო, რომ ჩალხის მეხსიერებაში ეხლაც დარჩენილა ბარბაროსის „შავი დრო“... რასაკეირველია, ეს „შავი დრო“ შინაურმა მტრებმაც გამოიყენეს. ჯერ პირველად სამცხე განუდგა სამეფოს, მერე კიდევ დასავლეთ საქართველოს საკუთარი მეფე გაუჩნდა და და ცოტა ხნობით ისევ თუ-მეფობამ წამოჰყო თავი. გიარგი ბრწყი-

ნეალის ხელთა ქმნილება თითქო ცო-
ტად შეირყაო, თუმცა-კი არ დარ-
ღვეულა. მაგრამ როცა თემური მო-
კვდა და იმის შვილებს შუღლი ჩა-
მოუარდათ, სამეფო ისევგამაგრდა...
ყველა ეს ცხადად მატკიცებს, თუ რა
გავლენა აქვს გარემოებას ისტორიულ
მოღვაწის მოქმედებაზედ: თვით ბაგ-
რატ დიდმა და რაინდმა მისმა შეილ-
მა ვერა გააწყეს-რა მძლავრ მტერ-
თან... და ან რას იზამთ, როცა გა-
რეგანს, ფიზიკურს ძალას ასეთი დი-
დი ზედ-მოქმედება აქვს! მხოლოდ
მაღალ-გონიერი კაცი ერთბაშად არ
შეეჭიდება ზოლმე ამ ძალას და მის-
დასამორჩილებლად დროს ელოდება.
გიორგი ბრწყინვალეც ასე მოიქცა და
შთამომავლობას ისტორიული მცნება-
დაუტოვა: დროს შესაფერად მოიჭა-
ცითო...

სამწუხაროდ, მეფის ცხოვრება მა-
ლე დაავიწყდათ (იქნება ამიტომაც
დაიკარგა), მის მცნებას ყურადღება
არ ათხოვეს. პოლიტიკურს „სიბრძნე;

გონიერებას“ თითქმი აღარავინ საჭი-
როებდა .. ნაყოფიც მალე აღმოსცენ-
და: როგორც უკვე შევნიშნეთ, მე-
თხუთმეტე საუკუნის, ნახევარს იწყება
დორეთ - წოდე, ული სამეფოს განუო-
ფა ⁶⁴). მართალია, მონგოლები განპე-
რნენ, მახვილს თან გადაჰყვნენ, მაგ-
რამ საქართველოს-კი არა ეშველა-
რა, — იმათ მაგიერ სხვა მტრები გაჩნ-

⁶⁴⁾ გადაშერით არ ითქმის, საბოლოოდ რო-
მეულ წელის მოხდა ხამინის ნაწილებად და-
უთხავა. „ქართლის ცხოვრება“ თუმცა ამბობს
ეს ამბავი იქოვო მეფე ალექსანდრეს დროს,
გვ. 474, მაგრამ, როგორც ვახუშტი გან-
მარტებს, შემდეგშიაც ვხედავთ ერთ-მეოფ თ-
ბას, გიორგი VIII დროს, ცახ. გვ. 303,
შენიშვნა 2. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ
თუმცა მეფე ალექსანდრემ, რომელიც 1442
წ. ბერად ალკაეცილი გარდაიცვალა; „დასვა
პირველი შვილი ვახტანგ ქართლესა, და იმე-
რეთს მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დი-
შიტრი, და დასვა ვახეთს მეფედ უმრწემესი
ძმა დიშიტრისი გიორგი“, მაგრამ პირველ
ხანებში სამ-მეოფ თბას ეპრძოდა ერთ-
მეოფ თბა, ჯერ-ჯერობით პირველს მათგანს.
მკვიდრი საფუძველი არ მოეპოვებოდა.

ღნენ. მთელ საუკუნოების სივრცეზეა
გაჭიმული. იგი კანუოთვა და ამ დროს
განმავლობაში შევისა და ბნელის გარ-
და თითქმის ვერას ვხედავთ. ამ ბნელეთს
მხოლოდ გიორგი მეტუთე აბრწყინვა-
ლებს და ამიტომაც ერმა ბრწყინვა-
ლე უწოდა. და განა ერის განაჩენს,
სხვა ვინმე, თუ არ ულირსი და უკე-
თური, წუნს დასდებს?!..

947.922

y 573

ଓৱে 20. ৩০৩.